ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## წალკაში ტვ პირველის ჟურნალისტებს გამგებლის ბიძამ სცემა



გვ.5

ხუთშაბათი, 1 ივლისი, 2021 | №118 (8647) | ფასი: 60 თეთრი

# „თამარ ქვანიამ გადადგომით ბოდიში მოიხადა“





გიორგი ვაშაძე: „მე არასდროს არ ვარ ნაციონალებთან პოლემიკაში. არსებობს „ქართული ოცნების“ გზა, არსებობს „ნაციონალური მოძრაობის“ გზა. ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა“ გვ.2



## „მივესალმები ირაკლი კობახიძის ქმედებებს, ეგრე გააგრძელე ირაკლი, ჯიგარი ხარ!“

კახა კუკავა: „ნაციონალურ მოძრაობას აკონტროლებს მერაბიშვილი. მერაბიშვილის ხელით კი ივანიშვილი აკონტროლებს. ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ, არსებობა დაასრულა და ისიც გახდა „ქართული ოცნების“ სისტემის ნაწილი. არანაირი ბრძოლა მათი მხრიდან აღარ მიმდინარეობს“



გვ.3

## ლევან ალაფიშვილი: „ჩემთვის მნიშვნელოვანი საარჩევნო სისტემის შეცვლაა“



გვ.4



გვ.3

## გიგა ბუკია: „სააკაშვილი სადაც იქნება, ჩვენ არ გავერთიანდებით“

ISSN 1987-9385

4 კახა კალაძე: „მედიაზე თავდამსხმელი უნდა დაისაჯოს“

2 „თუ ცესკოს თავმჯდომარე 5 წლის ვადით ვერ აირჩევა, კითხვის ნიშნები გაჩნდება“

5 შვილების მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაში ბრალდებულს 17 წელი მიესაჯა

6 დიმიტრი კულება: „უკრაინელები და რუსები ორი სხვადასხვა ერია, რუსები უკრაინაში ეროვნული უმცირესობაა“

# „თამარ ჟვანიამ გადადგომით ბოდიში მოიხადა“

## გიორგი ვაშაძე: „მე არასდროს არ ვარ ნაციონალებთან პოლემიკაში. არსებობს „ქართული ოცნების“ გზა, არსებობს „ნაციონალური მოძრაობის“ გზა. ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა“

იაგო ნაცვლიშვილი

**თამარ ჟვანიამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. ეს გააკეთა იმის მიუხედავად, რომ ცოტა ხნის წინ აცხადებდა, არჩევნები არ გაყალბებულა და არსად წასვლას არ აპირებდა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ამ ფაქტს გამოეხმაურა და ოპოზიციურ პარტიებს, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გამყალბებლები უწოდა. მისი თქმით, არავის ეყო არც ქალური სოლიდარობა და არც კაცური სიმამაცე, რომ მისთვის ბოდიში მოეხადათ.**
**რა პასუხი აქვს კობახიძის განცხადებაზე, რატომ გადადგა ჟვანია და რა გარანტია არსებობს, რომ მის ადგილს „ახალი თამარ ჟვანია“ არ დაიკავებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე საუბრობს:**

***— ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა თამარ ჟვანიამ. იძახდა, რომ არ აპირებდა თანამდებობიდან წასვლას. რატომ გადადგა?***

— თამარ ჟვანიას ცხრაწლიანი გაყალბების ეპოქა დასრულებულია და ყველას გილოცავთ ამას. რატომ გადადგა? — ეს არის საერთო დიდი მუშაობის შედეგი. პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქეების და მთლიანად ქართული საზოგადოების; პოლიტიკური ოპოზიციის; სამოქალაქო სექტორის; ჩვენი დასავლელი პარტნიორების მუშაობის შედეგი და, შესაბამისად, სხვა გზა, გარდა მისი გადადგომისა, დარჩენილი არ იყო. ჯერ კიდევ 2 თვის წინ ვამბობდი, რომ წარმოუდგენელი იყო მას პოზიცია შეენარჩუნებინა ამხელა გაყალბების კრიზისის შემდეგ. გადადგა — იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებას“ სხვა გზა აღარ ჰქონდა დარჩენილი, გარდა მისი გადაყენებისა.

***— რატომ გგონიათ, რომ სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი მმართველ პარტიას?***

— იმიტომ, რომ ვერც ერთ შემთხვევაში არჩევნების იმიჯს ვერ გაასწორებს ტექნოლოგიები, თუ თამარ ჟვანია ან ჟვანიას მსგავსი პიროვნება იქნება ამ ყველაფრის სათავეში. ძალიან კარგად იცის „ოცნებამ“, რომ დიდი პრობლემები შეექმნებათ თუ ისევ სიყალბის გზით წავლენ. ჩვენ შევქმენით შარლ მიშელის დოკუმენტი, რომელიც ეპოქალური დოკუმენტია საქართველოს განვითარებისთვის. ამიტომ მას აქვს აღსრულების კონკრეტული მექანიზმები. მაგალითად, ასეთია სანქციებზე საუბარი, ასევე ფინანსურის მხარდაჭერის შეჩერებაზეა საუბარი და. ა. შ. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არ შეასრულებენ შარლ მიშელის დოკუმენტით ნაკისრ ვალდებულებებს.



### „შარლ მიშელის შეთანხმება ეპოქალური დოკუმენტია და ისტორიული ცვლილებები ხორციელდება“

***— თუმცა, ამავე დოკუმენტს უკავშირებენ იმ ცვლილებებსაც, რომლითაც, მაგალითად, „ლეიბორისტული პარტია“ უკვე დაისაჯა თავისი პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო და ეს საფრთხე სამომავლოდ ემუქრება სხვებსაც.***

— ძალიან სამწუხაროა ეს ფაქტი. არავის ეგონოს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წაიღო ეს ადგილები. არის საკითხები, რომელიც მომავალშიც გასასწორებელი იქნება და ამას გავასწორებთ, მაგრამ კარგად თუ წავიკითხავთ ამ ცვლილებებს, უბრალოდ, იმხელა ისტორიული ცვლილებებია, რაც 30 წლის მანძილზე არ განხორციელებულა. ნამდვილად არ მივცემდი „ქართულ ოცნებას“ შესაძლებლობას, რომ ჩაეგდო ეს ცვლილებები. მმართველ პარტიას არ უნდოდა ამ ცვლილებების მიღება და ეს ჩვენ, ყველას ხომ კარგად გვესმის?! რა ურჩევნია — შეენარჩუნებინა არსებული სისტემა თუ ახალი ცვლილებები გაეკეთებინა. რა თქმა უნდა, რომ მათ სურდათ მათეული გაყალბების მექანიზმების შენარჩუნება, მაგრამ ჩვენ ეს წავართვით მას.

კომისიის ის წევრები სადღაც კი არ გაქრნენ, ისევ ოპოზიციური პარტიის არიან, ამ შემთხვევაში პაატა დავითაიას პარტიის, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციაშია. „ნაციონალური მოძრაობის“ ირგვლივ გაერთიანებულმა ბლოკმა ფაქტობრივად კომისიის 2 წევრი მიიღო. პირდაპირ გეუბნებით, ჩემი აზრი ასეთია, რომ ეს არ არის სამართლიანი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არის ფაქტი და ეს არის მოცემულობა.

***— ფიგურალურად რომ ვთქვათ, რა გარანტია არსებობს იმის, რომ ცესკოს თავმჯდომარე არ გახდება ახალი თამარ ჟვანია?***

— პირველი, ამის გარანტიაა რეფორმები. ჩვენ — „სტრატეგია აღმაშენებელს“ მიგვაჩნია, რომ ადამიანური კონკურენტი, ადამიანური ფაქტორი უნდა შევამციროთ საარჩევნო პროცედურებში და მეტი ტექნიკა და მეტი სიახლე უნდა იყოს საარჩევნო პროცედურებში. ეს არის კიდეც გათვალისწინებული — სახის ამომცნობი, კამერები, სკანერები... რომელმაც უნდა შეცვალოს ეს ყველაფერი.

მეორე არის შერჩევის მექანიზმი — ხმათა 2/3-ია საჭირო ამ ცვლილებების მისაღებად. კონკრეტულად ცესკოს ახალი თავმჯდომარის ასარჩევად. მაგრამ თუ ვერ მოხდა ასე არჩევა და ისევ 76 ხმით მოხდა ახალი თავმჯდომარის არჩევა, მაშინ ის მხოლოდ 6 თვით იქნება არჩეული და არა სრული ვადით. ამიტომ, კონსენსუსისკენ სვლა ყველას მოგვიწევს და მოუწევს „ქართულ ოცნებასაც“. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იქნება ლეგიტიმური ის არჩევანი, რომელიც შესაძლოა იყოს და ვინმემ დროებით დაიკავოს ცესკოს თავმჯდომარის პოზიცია. ამაზე უნდა ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ.

***— ირაკლი კობახიძემ გამყალბებელი პარტიები გიწოდათ და თქვა, რომ ვერც ერთი ბრალდება დაუდასტურეთ თამარ ჟვანიას და აღნიშნა, რომ არც კაცური სიმამაცე და არც ქალური სოლიდარობა ეყოთ, რომ მისთვის ბოდიში მოეხადათო. რა პასუხი გაქვთ ამაზე?***

— მარტივად გეტყვით — თამარ ჟვანიამ ფაქტობრივად თავად მოიხადა ბოდიში, როდესაც გადადგა.

***— ასე აღიქვით?***

— დიახ. ბოდიშის მოხდაა, აბა რა არის?! ბოდიში მოიხადა ამით.

***— იქნებ გართულებას და პოლიტიკური კლიმატის კიდევ უფრო დაძაბვას მოერიდა?***

— გართულებას კი არ მოერიდა, არამედ წავიდა და ბოდიში მოიხადა, მაგრამ ბოდიში სიყალბის საპასუხოდ საკმარისი არ არის. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

***— რა ხდება ოპოზიციაში? — მუშაობთ თუ არა საერთო კანდიდატებზე და დასრულდა თუ არა პოლემიკა თქვენსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის?***

— მე არასდროს არ ვარ მათთან პოლემიკაში. ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა. არსებობს „ქართული ოცნების“ გზა, არსებობს „ნაციონალური მოძრაობის“ გზა და არსებობს სხვა, ალტერნატიული გზა, სიახლის და ქვეყნის განვითარების გზა. ჩვენ — „სტრატეგია აღმაშენებელი“ ამ მესამე გზას ვადგავართ.

***— რაც შეეხება ერთიან კანდიდატებზე მუშაობას?***

— ჩვენი პრიორიტეტი არის მეტი პროპორციული ხმა ამ არჩევნებზე, რომ რიგგარეშე არჩევნები მოვიპოვოთ. პირდაპირ გეუბნებით, ჩვენი პრიორიტეტი არ არის მერობის კანდიდატები. აქედან გამომდინარე ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მეტი პროპორციული ხმა ავიღოთ, რათა 43% ვერ მოაგროვოს „ქართულმა ოცნებამ“.

***— ეს იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ ერთიან კანდიდატებთან მიმართებით არ იმუშავებთ?***

— დიახ. ჩვენ გაცხადებულიც გვაქვს ეს, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად არანაირ ერთიან კანდიდატს არ განვიხილავთ.

# ზურაბ ჯაფარიძე: „თვითმმართველობის არჩევნებში ყველა პარტიამ დამოუკიდებელი კამპანია უნდა ჩაატაროს“




„გირჩი მეტი თავისუფლების“ ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ყველა პარტიამ დამოუკიდებელი კამპანია უნდა ჩაატაროს და უნდა ეცადოს, საკუთარი ხმების მაქსიმალური მობილიზება მოახდინოს.

აღნიშნულის შესახებ მან ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

როგორც ჯაფარიძემ განმარტა, ოპოზიციამ პროპორციულ ნაწილში ხმების 52%-ზე მეტის აღება უნდა შეძლოს.

ჯაფარიძის თქმით, ის ყველაზე კარგი კანდიდატია, რაშიც ეჭვი არ ეპარება.

— არა მხოლოდ მერობაზე, მაგრამ საერთო ოპოზიციური კანდიდატი რამდენად შეიძლება ვიყო, არ ვიცი. ვხუმრობ, ცხადია, ჩემთან პარტიაში განწყობა უმრავლესობის არის ის, რომ „გირჩი მეტი თავისუფლებამ“ ცალკე უნდა მივიღოთ მონაწილეობა, ცალკე კამპანია უნდა გვქონდეს. ყველა პარტიამ დამოუკიდებელი კამპანია უნდა ჩაატაროს და უნდა ეცადოს საკუთარი ხმების მაქსიმალური მობილიზება მოახდინოს, რომ ჯამში, პროპორციულ ნაწილში ხმები რომ დაითვლება, 52%-ზე მეტი გამოვიდეს ოპოზიციური ხმები, — განაცხადა ჯაფარიძემ.

მან ასევე ისაუბრა საკონსტიტუციო ცვლილებებზე და არ გამორიცხა, რომ აღნიშნულში მონაწილეობა მიიღოს.

— შეიძლება, ვნახოთ, პრობლემა იმაშია, რომ ეს პროცესი საერთოდ დაძრული არ არის, საკონსტიტუციო ცვლილებები მართლა მნიშვნელოვანია, მათ შორის, საარჩევნო სისტემას უნდა შეეხოს. შარლ მიშელის დოკუმენტში ჩანაწერია, რომ შემდეგი ორი არჩევნები სრულად პროპორციული უნდა იყოს ბარიერით ბუნებრივიდან 2%-მდე და სანახავია, რა ინტერპრეტაციას დადებს „ქართული ოცნება“.

იქ, როცა ეს ჩანაწერი გაკეთდა, შემდეგი ორი არჩევნები იმიტომ ჩაიწერა, რიგგარეშე არჩევნებიც რომ იყოს 2022-ში, რისი შანსიც არის, თუ „ოცნება“ ახლა ადგილობრივ არჩევნებში 43%-ს ვერ აიღებს, რიგგარეშე არჩევნებიც უნდა ჩატარდეს სრულად პროპორციული, ნულიდან, ანუ ბუნებრივი ბარიერიდან 2%-იანი ბარიერით, თუმცა, არის შანსი და „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება ეს ასე წაიკითხოს, რომ ეს არ ეხება ხელახალ არჩევნებს და შემდეგ 2 არჩევნებში 2024 წლის და 2028 წლის არჩევნები ითვლება.

ვნახოთ, საერთოდ რას აკეთებენ, ამას სჭირდება ბევრი დრო, პროცედურებია, დისკუსია უნდა გაიმართოს, ამ სესიაზე დაწყება უნდა მოასწრონ, რომ მერე ოქტომბერში მოესწროს ამის მიღება. თუ დავინახე, რომ მნიშვნელოვანია, რომ მივიდე და თითი დავაჭირო, მივალ და თითს დავაჭერ, ამის პრობლემა საერთოდ არ მაქვს. ჯერ არ ვიცი, როდის შევივლი, — განაცხადა ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ მიზანია, შარლ მიშელის შეთანხმება ჩაიშალოს და ეს ოპოზიციას დააბრალოს.

— „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად ცდილობს, ყველა პუნქტი ისე გაღუნოს, რომ საბოლოო ჯამში სიტუაცია იქამდე მიიყვანოს, რომ ოპოზიციამ, ვინც ხელი მოაწერა, თქვას, რომ არ სრულდება შარლ მიშელის დოკუმენტი და დამთავრდა, შეთანხმება ჩაიშალაო. როგორც კი შეთანხმების ჩაშლამდე მივალთ, მათი მხრიდან იქნება — აი, ოპოზიციამ ჩაშალა შეთანხმება და 43%-იანი პუნქტი აღარ მუშაობს და, შესაბამისად, აღარც ვალდებულება გვაქვს, რომ 43% ავიღოთ და, შესაბამისად, არც ხელახალი არჩევნებიც არ იქნებაო, მე მგონია, რომ ეს აქვთ მიზანი, — განაცხადა ჯაფარიძემ.

# „თუ ცესკოს თავმჯდომარე 5 წლის ვადით ვერ აირჩევა, კითხვის ნიშნები გაჩნდება“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თუ 5 წლის ვადით ვერ აირჩევა, შესაძლოა, კითხვის ნიშნები გაჩნდეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ, ნიკოლოზ სიმონიშვილმა განუცხადა.

სიმონიშვილის თქმით, ე.წ. დაბლოკვის მექანიზმი ხელისუფლებას გარკვეულწილად აძლევს საშუალებას, იმ კანდიდატს დაუჭიროს მხარი, რომელიც მისთვის ხელსაყრელი იქნება.

— ე.წ. დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმი არის ჩადებული 19 აპრილის შეთანხმებაში, რომელიც გვეუბნება, რომ ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით პირველი ორი მცდელობა პარლამენტმა სრული შემადგენლობის 2/3-ით მიიღოს, რაც დეპუტატების 100 ხმაა. თუ პირველ ორ მცდელობაზე თავმჯდომარეს ვერ აირჩევენ, მესამე მცდელობის დროს იკლებს ხმების რაოდენობა და სრული შემადგენლობის 3/5 სჭირდება, ანუ 90 ხმა, თუ მესამე მცდელობითაც ვერ შეირჩა ცესკოს თავმჯდომარე, მაშინ უბრალო უმრავლესობით გადაწყდება საკითხი, ანუ 76 ხმით.

თუ 2/3-ზე ნაკლებით მოხდება ცესკოს თავმჯდომარის არჩევა, ამ შემთხვევაში თავმჯდომარე დროებითი უნდა იყოს და ის თანამდებობაზე მხოლოდ 6 თვის ვადით აირჩევა. სხვა შემთხვევაში კი 5 წლის ვადით დაინიშნება თანამდებობაზე.

სანამ შეთანხმება შედგებოდა, პოლიტიკურ მხარეებს მოვუწოდებდით, რომ მნიშვნელოვან თანამდებობებზე, მათ შორის, ცესკოს დაკომპლექტებაც მომხდარიყო არა პოლიტიკური და პროფესიული წევრების ნაზავით, არამედ, სრულად პროფესიული ნიშნით. მათ შორის ცესკოს თავმჯდომარეც და პროფესიული წევრებიც დანიშნულიყვნენ პარლამენტის უმრავლესობის 2/3-ით. საია-ს არ ჰქონდა ე.წ. დაბლოკვის მექანიზმი. ვხედავდით იმის რისკსაც, რომ არჩევნების წინა პერიოდში ისარგებლოს ხელისუფლებამ და იმ კანდიდატს დაუჭიროს მხარი, რომელიც მისთვის ხელსაყრელი იქნება. დროებითი მექანიზმი როცა ემთხვევა საარჩევნო პერიოდს, არის გარკვეული საფრთხეების შემცველი, რომ ხელისუფლებამ ცესკოს თავმჯდომარის პოზიციაზე საარჩევნო პერიოდში დანიშნოს ისეთი პირი, რომელიც ხელისუფლების მიმართ შეიძლება იყოს ლოიალური და ეს პირი არ იყოს დანიშნული მაქსიმალური მაღალი კონსენსუსით.




კითხვები რომ არ გაჩნდეს, ასევე, შემდგომი კრიზისები ავირიდოთ თავიდან, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება მიღებული იყოს მაღალი კონსენსუსით და ოპოზიციის მონაწილეობით, ანუ უმრავლესობის 2/3-ით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია გარკვეული კითხვები გაჩნდეს, — განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ სიმონიშვილმა.

ცნობისთვის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე პარლამენტმა 3 კვირის განმავლობაში უნდა აირჩიოს. პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარის ახალი კანდიდატი პრეზიდენტმა უნდა წარუდგინოს.

ცესკო-ს მოქმედი თავმჯდომარე თამარ ჟვანია თანამდებობას 1 ივლისიდან ტოვებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მივესალმები ირაკლი კობახიძის ქმედებებს, ეგრე გააგრძელე ირაკლი, ჯიგარი ხარ!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.**

***– ბატონო კახა, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პროცესებთან დაკავშირებით? „ოცნება“ რომ ასე თავს გავიდა, ეს დიდწილად ოპოზიციის დამსახურებაა, მათი უსუსურობის ბრალიაო. თუნდაც რა ხდება სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, არავის რეკომენდაციას არ ითვალისწინებენ და ყურად არ იღებენ დასავლეთის შენიშვნებს. როგორია თქვენი შეფასებები, როგორც ხელისუფლების, ისე პარლამენტში შესული ოპოზიციის ქმედებებთან დაკავშირებით?***

– როგორც წინა წლებში ხდებოდა, ახლაც ზუსტად ის სიტუაციაა. ოპოზიციის სიბრიყვე, ხელისუფლების სიბრიყვეს გადაფარავს და „ოცნებას“ სწორედ ეს გადაარჩენს. ადრე გითხარით, რომ ოპოზიცია ხელისუფლებასთან აგებს-მეთქი. დღევანდელი მდგომარეობით კი, ოპოზიცია ხელისუფლებასთან 10:0 აგებს. ახლა გამოჩნდა იმის მცირე შანსი, რომ აი ამ სასამართლოს თემით, „ოცნების“ მეკარე, ირაკლი კობახიძე ძალიან ბევრ გოლს გაუშვებს და ოპოზიციის წაგებულ თამაშს შემოატრიალებს. სასამართლოსთან დაკავშირებით ჩვენ ყველა ვთანხმდებით რომ საშინელი მდგომარეობაა, ასევე არის ძალიან მკაფიო პოზიცია დასავლეთის და არის ძალიან დიდი შანსი იმისა, რომ ირაკლი კობახიძე, მიხეილ ჩინჩალაძე და ლევან მურუსიძე გახდნენ პირველი სამი ადამიანი, რომლებიც საერთაშორისო სანქცირებული ადამიანების სიაში იქნებიან შეყვანილი. ამის ძალიან მაღალი შანსია და ამიტომ ამ საკითხს ძალიან პოზიტიურად ვუყურებ.

***– საუბრობენ, რომ მთლიანად კობახიძე-მდინარაძის ხელშია სასამართლო სისტემაო. ასეა?***

– კობახიძე უშუალოდ ვერ ერევა სასამართლო სისტემაში. კობახიძეს და მდინარაძეს, უბრალოდ, დავალებული აქვთ ამ სისტემის გაპრავება. რაც შეეხება სასამართლოს კლანს, მას უშუალოდ მართავს ბიძინა ივანიშვილი მურუსიძის და ჩინჩალაძის საშუალებით. ზოგადად ეგ არის ივანიშვილის მართვის სტილი, რომ მას დაყოფილი აქვს მთელი ხელისუფლება რამდენიმე შვილობილ კომპანიად, სასამართლო არის ცალკე შტო და ის სასამართლოს აკონტროლებს პირადად მურუსიძე-ჩინჩალაძის საშუალებით. კობახიძეს გადაცემული აქვს მფლობელობაში საქართველოს პარლამენტი.

***– სასამართლო სისტემაში არსებული ვითარება ხომ არ დააჭედებს ბოლო ლურსმანს „ოცნებას“?***

– სასამართლო ისედაც მკვდარია. მე მივესალმები ირაკლი კობახიძის ქმედებებს, ეგრე გააგრძელე ირაკლი, ჯიგარი ხარ! აუცილებლად აირჩიე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები. ეს ხელს შეუწყობს ამ ხელისუფლების იზოლაციასაც და ხელს შეუწყობს სასამართლოს გაჯანსაღებასაც. იმიტომ, რომ სასამართლო ახლა არის ისეთ მდგომარეობაში, რომლის თერაპიაც არის შეუძლებელი. ამას სჭირდება ქირურგია! რაც უფრო მეტად დამძიმდება ამ შემთხვევაში, სასამართლოს ვითარება, არის უკეთესი. იმიტომ, რომ მით უფრო გაიზრდება იმის შანსი, რომ ყველა მოსამართლე გაყარონ სასამართლო სისტემიდან. მე არ მჯერა იმისი, რომ ამ მოსამართლეების პირობებში, რაიმე რბილი ჩარევების შედეგად, შეიძლება ჩვენ სასამართლო გავაჯანსაღოთ.

***– როგორც ცნობილი გახდა, იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების დანიშვნა არჩევნების შემდეგ გადადო „ქართულმა ოცნებამ“? რატომ, აღარ უნდათ ზედმეტი აჟიოტაჟი?***

– რა თქმა უნდა, „ქართული ოცნებაც“ ერიდება გარკვეულწილად, ცდილობს, ისე ითამაშოს და ისეთი გადაწყვეტილები მიიღოს, როდესაც არც დასავლეთს გააღიზიანებს და სასამართლოზე კონტროლსაც არ დაკარგავს. ამიტომ ამ საკითხს აუცილებლად გადადებს. ისედაც იუსტიციის საბჭოში სრული უმრავლესობა აქვთ და რაიმე პრობლემა სასამართლოს კონტროლის კუთხით არა აქვთ.

***– ოპოზიციაზე რას იტყვით? ასეთი დაქსაქსული არასოდეს ყოფილაო. თითქოს „ლელო“ და ნაცმოძრაობა აღმოჩნდა დღეს ერთ მხარეს. აქვს რაიმეს შანსი ასეთ მდგომარეობაში მყოფ ოპოზიციას?***

– ნაციონალური მოძრაობა იყო ბოლო საპარლამენტო პარტია, რომელიც საჯარო აუქციონზე შეიძინა ბიძინა ივანიშვილმა და მინდა გითხრათ, რომ ამ საკითხზე, ნაციონალური მოძრაობიდან მეგობრები ვინც მყავს, ისინიც მესაუბრებიან ძალიან ღიად. ნაციონალურ მოძრაობას დღეს მთლიანად აკონტროლებს ვანო მერაბიშვილი და ვანო მერაბიშვილის ხელით, ნაციონალურ მოძრაობას აკონტროლებს ბიძინა ივანიშვილი. ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ, არსებობა დაასრულა და ისიც გახდა „ქართული ოცნების“ სისტემის ნაწილი. არანაირი ბრძოლა მათი მხრიდან აღარ მიმდინარეობს. თქვენ იცით, რომ ოპოზიციონერებს გვაქვს საერთო ჩატი, მე რამდენჯერ დავაყენე საკითხი, რომ შევიკრიბოთ ისევ ლეიბორისტების ოფისში, თუმცა მივიღე კატეგორიული უარი. მერე დავაყენე საკითხი საარჩევნო კოდექსზე, კონსტიტუციაზე, რომ გაეთვალისწინებინათ ოპოზიციის გარკვეული შენიშვნები, მაგრამ ამაზეც მივიღე უარი. ნაციონალური მოძრაობა ცდილობს იმას, რომ დაიბლოკოს ყველა ოპოზიციური ინიციატივა.

**კახა კუკავა: „ნაციონალურ მოძრაობას აკონტროლებს მერაბიშვილი. მერაბიშვილის ხელით კი ივანიშვილი აკონტროლებს. ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ, არსებობა დაასრულა და ისიც გახდა „ქართული ოცნების“ სისტემის ნაწილი. არანაირი ბრძოლა მათი მხრიდან აღარ მიმდინარეობს“**



***– ანუ ბიძინას თამაშს თამაშობენ?***

– დიახ, ბიძინას თამაშს თამაშობს. ნაციონალური მოძრაობა ასრულებს დაახლოებით იგივე ფუნქციას, რასაც ასლან აბაშიძე და აღორძინება ასრულებდა შევარდნაძის მმართველობის დროს.

***– რას იტყვით ახალ ოპოზიციურ მოთამაშეზე, გიორგი გახარიაზე?***

– ახლა ყველა იმედი არის გიორგი გახარიაზე. ამ წუთას ასეა. მე ვერ ვიტყვი, ის გაამართლებს თუ არ გაამართლებს, მაგრამ გიორგი გახარიას ახლა აქვს ძალიან კარგი შანსი იმის, რომ გაიტანოს გადამწყვეტი გოლი ამ სიტუაციაში. იმიტომ, რომ ოპოზიციური ველი არის სრულიად მოსუფთავებული. დღეს საქართველოში რეიტინგული ოპოზიციური პოლიტიკური პარტია აღარ არსებობს.

***– ის სააკაშვილთან ალიანსში დაადანაშაულეს. უბრალოდ ტალახი ესროლეს თუ მართლაც ხედავთ კავშირს მასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის?***

– ვერ გეტყვით, შესაძლოა შეხვდა კიდეც სააკაშვილს. თუმცა, ვერც ამაში რაიმე განსაკუთრებულ ტრაგედიას ვერ ვხედავ. გასაგებია, რომ გახარია ამერიკელების დახმარების გარეშე ვერ მოვა. ასე მხოლოდ გამსახურდია მოვიდა და კი ამოაყირავეს ერთ წელიწადში, ყველას გვახსოვს. ყველა, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლა უნდა, ვაშინგტონში უნდა ჩავიდეს და ერთგულების გარანტიები უნდა გასცეს, ამიტომაც დაირაზმნენ და წავიდნენ. მე ამაშიც განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

***– გახარია ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადება და ამიტომ მართავდა ასეთი მაღალი დონის შეხვედრებს?***

– მას აქვს ასეთი შანსი, ამერიკელები მას საქართველოს პრეზიდენტად, ან პრემიერად ვერ დანიშნავენ და არც არავინ დაუნიშნავთ ამერიკელებს. ამერიკელებს შეუძლიათ, უბრალოდ მასზე შეიქმნან დადებითი შთაბეჭდილება და ხელი შეუწყონ. ამერიკელებმა, შესაძლოა, შეასრულონ მწვრთნელის ფუნქცია, მაგრამ გახარიამ ფეხი თვითონ უნდა ამოძრაოს. ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გადამწყვეტი მაინც იქნება თვითონ გახარიას პოზიციები ადგილობრივ არჩევნებზე. მე პირადად მას ვურჩევდი, რომ უფრო აქტიურად ჩაერთოს ამ ვითარებაში.

***– შეუქმნის „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ საფრთხეს გახარია?***

– ნამდვილად არა ვარ იმ კვლევების სანდოობაში დარწმუნებული, რაც ახლა იდება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს რეიტინგები სანახევროდ თუ მაინც მართალია, გახარია „ოცნებას“ საფრთხეს უკვე უქმნის.

# „სააკაშვილი სადაც იქნება, ჩვენ არ გავერთიანდებით“

## გიგა ბუკია: „ე. წ. მარშის ორგანიზატორების მიზანია დაძაბულობის გამოწვევა და დესტაბილიზაცია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება. არჩევნები განსაკუთრებული და პოლიტიკური შეფერილობისაა. ყველას აღელვებს ამ არჩევნების პროპორციული ნაწილი. თუმცა, ასე დიდ ყურადღებას იპყრობს თბილისის მერის არჩევნები. დიდი ალბათობით, „ქართული ოცნების“ კანდიდატი ისევ კახა კალაძე იქნება. ამ საკითხზე გაურკვევლობა და უთანხმოებაა დაშლილ ოპოზიციურ ერთობაში. ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.**

***– საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია თბილისის მერის არჩევნებისაკენ. „ოცნება“ ისევ კახა კალაძეს წარადგენს. ნაციონალური მოძრაობის წევრებს მიაჩნიათ, რომ ოპოზიციამ მხარი უნდა დაუჭიროს ნაცმოძრაობის კანდიდატს. „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე შესანიშნავ კანდიდატად მიიჩნევს უპარტიო ბიზნესმენს, თემურ ჭყონიას. კენჭისყრას აპირებენ აგრეთვე პოლიტიკოსი ანა დოლიძე და იურისტი ზაზა ხატიაშვილი. ვის რა შანსები აქვს?***

– ზუსტად ამის თქმა ძნელია. რაც მეტი კანდიდატი დასახელდება, მით ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გადალახოს პროპორციულ ნაწილში დადგენილი 43%-იანი ბარიერი. შესაძლებელია იყოს მეორე ტური. გააჩნია, მოხერხდება თუ არა გაერთიანება მეორე ტურისათვის. მერებისთვის არსებობს 50%-იანი ბარიერი. პირადად კახა კალაძეს რომ აქვს რეიტინგი, ფაქტია. გასათვალისწინებელია, რომ მომავალი არჩევნები განსხვავებულია. „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველი მოაკლდა. ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, როგორც წესი, ხელისუფლება არ იცვლება. 2 ოქტომბრის არჩევნები გახდება მომავალი საპარლამენტო არჩევნების წანამძღვარი და ხელისუფლების ცვლილების დასაწყისი. თუ მმართველმა პარტიამ ვერ მიიღო 43%, დაიწყება მზადება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისათვის.



***– თუ თბილისში მერის არჩევნებზე დაინიშნა მეორე ტური და მასში მონაწილეობენ კახა კალაძე და ნაცმოძრაობის კანდიდატი, თქვენი პარტია როგორ მოიქცევა?***

– კონკრეტულად ამ საკითხზე პარტიაში არ გვიმსჯელია. თუმცა ჩვენი, კონსერვატორების ადრინდელი პოზიცია ცნობილია – ჩვენ არ ვიქნებით და არ ვართ იქ, სადაც არის სააკაშვილი. ნაცმოძრაობის ლიდერად ისევ სააკაშვილი მოიაზრება. ამიტომ, ჩვენ არ ვერთიანდებით მათთან, ვინც სააკაშვილთან დგას. პრინციპი არ შეგვიცვლია.

***– შემოდგომაზე იგეგმება საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის თანახმად, მომდევნო ორი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება პროპორციული სისტემით 2%-იანი ბარიერით. ეს მისაღებია?***

– რასაკვირველია. ჩვენ 1%-იან ზღურბლსაც მხარი დავუჭირეთ. მიგვაჩნია, რომ დაბალი საარჩევნო ბარიერი მოიტანს მრავალპარტიულობას. მოსახლეობის განწყობები მეტად იქნება ასახული პარლამენტში. 2%-იანი ბარიერით პროპორციულად ჩატარებული არჩევნები კარგი შანსია ბევრი პარტიისთვის. მათ შორის, კონსერვატიული პარტიისათვის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს შანსი გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, დაბალი ზღურბლი ყველას არ აწყობს. დაბალი ბარიერი არ შედის ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ ინტერესში. სააკაშვილი არც მალავდა, რომ ბარიერის დაწევა არ უნდა. ამ ორ დიდ პარტიას ურჩევნია, ისევ თვითონ იყვნენ მთავარი ძალები, შუა კი გაკრეფილი იყოს.

***– ე. წ. მიშელის მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ერთი შეხედვით, შეთანხმება მოხდა. ახლა ვხედავთ, რომ ისევ უთანხმოებაა რამდენიმე საკითხში. განსაკუთრებით პრობლემატურია ის, რომ ირღვევა მემორანდუმი და არ წყდება მოსამართლეების უვადოდ გამწესება.***

– ეს პროცესები არასახარბიელოდ წარმოაჩენს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს. თუ რაღაცას ხელი მოაწერე, თუ პირობა დადე, ის უნდა შეასრულო. საქართველოში პოლიტიკოსების უმრავლესობის მხრიდან პირობის დარღვევა ჩვეულებად გადაიქცა. ამიტომ შემცირდა ნდობა პოლიტიკოსების მიმართ. საქართველოს ბევრი პოლიტიკოსისათვის მოსულია ერთმანეთის, უცხოელი პარტნიორებისათვის და ამომრჩევლის გადაგდება. ჩვენთვის ეს არ არის ჩვეულებრივი. ამის გამო დავტოვეთ უმრავლესობა წინა პარლამენტში. ჩვენთვის მტკივნეული იყო დაპირების შეუსრულებლობა არჩევნების პროპორციული წესით ჩატარების შესახებ. უპირობა და ტყუილები აზიანებს ქვეყანას. ჩვენი ევროპელი პარტნიორები უკვე უნდობლად უყურებენ ქართველ პოლიტიკოსებს. ეს ადასტურებს, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია დიდ კრიზისშია.

***– 5 ივლისს თბილისში ლგბტ-პრაიდის ფარგლებში იგეგმება „ღირსების მარში“. იმავდროულად ამის მოწინააღმდეგეები იკრიბებიან. არსებობს დაპირისპირების საფრთხე?***

– არატრადიციული სექსუალური მიმართულების ადამიანები საქართველოში არიან. მათ ცხოვრებაში არავინ იჭრება. ისინი არ იჩაგრებიან. არ მესმის, რა საჭიროა მათი მარში? გაუგებარია, რატომ არქმევენ მსვლელობას „ღირსების მარშს“. სექსუალური უმცირესობების აფიშირებით საქართველოში ვერავინ ქულებს ვერ დაიწერს და სარგებელს ვერავინ ნახავს. ეს ყველაფერი ხელოვნურია. ე. წ. მარშის ორგანიზატორების მიზანია დაძაბულობის გამოწვევა და ქვეყნის დესტაბილიზაცია.

***– შეჯახებაც არის მოსალოდნელი?***

– ხელისუფლებამ შეჯახება არ უნდა დაუშვას. იგი უნდა ეცადოს, რომ მოწინააღმდეგეებს შორის არ მოხდეს ფიზიკური კონტაქტი. ლგბტ-მსვლელობის ორგანიზატორებს თვითდამკვიდრების პრობლემა არ უდგათ. მათი მიზანია დესტაბილიზაციის გამოწვევა. იმედია, ისინი ამას ვერ მოახერხებენ.




**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# ლევან ალაფიშვილი: „ჩემთვის მნიშვნელოვანი საარჩევნო სისტემის შეცვლაა“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას გადადგომის შესახებ საუბრობს.**



***– ბატონო ლევან, თქვენ რას უკავშირებთ ჟვანიას ამ გადაწყვეტილებას და რამდენად შეიძლება დამოუკიდებლად მიეღო ეს გადაწყვეტილება?***

– ეს გადაწყვეტილება მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ მიიღო. გადაწყვეტილება ალბათ უფრო შარლ მიშელის დოკუმენტის გაფორმების შემდეგ არის მიღებული, რადგან დარწმუნდნენ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მოუწევდათ. ახლა უბრალოდ გაფორმდა, ან გააფორმებინეს თამარ ჟვანიას. ეს იმთავითვე გამოცნობადი იყო. რეალურად ხელისუფლებას მოუწევდა ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება და გადაწყვეტილების მიღებაც, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. რამდენად შეცვლის თამარ ჟვანიას ჩანაცვლება თავად საარჩევნო გარემოს, არსებულ რეალობას, ალბათ ეს არის ახლა მთავარი საკითხი. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ „ქართული ოცნება“ ასე მარტივად შეელევა ძალაუფლებით ტკბობას. ამიტომაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება. სავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი გათვლილი იყო. გადაწყვეტილებაც ჟვანიას წასვლის შესახებაც ალბათ დიდი ხანია მიღებულია.

***– გაწირეს?***

– მე ამ ტერმინს არ გამოვიყენებდი. არც თანამდებობაზე გამწესება და არც შემდეგ წასვლის შესახებ გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, მისთვის არ უკითხავთ. ეს ყველაფერი მთლიანად პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც დამოკიდებულია მმართველ ძალასა და სხვა არავისზე.

***– ჟვანიას გადადგომა ხომ არ იქნება აღქმული „ქართული ოცნების“ სისუსტედ, რომ ოპოზიცია მართალი იყო, როდესაც არჩევნების გაყალბებაზე საუბრობდა, რომ ამიტომ გადადგა?***

– შეიძლება ასეთ აღქმას მართლაც ჰქონოდა საფუძველი, მაშინვე რომ გადამდგარიყო ჟვანია თანამდებობიდან, როდესაც თუნდაც აქციები იმართებოდა ცესკოს შენობასთან და ოპოზიცია მის გადადგომას ითხოვდა, მაგრამ ახლა ეს ტალღა უკვე გადავლილია. ეს ეტაპი უკვე გავლილია. ახლა, როდესაც შეთანხმების დოკუმენტი არსებობს, მხარეები მიიჩნევენ, რომ ეს შეთანხმების ნაწილია. ეს არის და ეს. არ მგონია ახლა დიდად ნაღვლობდნენ, განსაკუთრებით „ქართულ ოცნებაში“, რა აღქმა იქნება ზოგადად. მათთვის მთავარია სიტუაცია ისე იყოს „დალაგებული“ საარჩევნო ადმინისტრაციაში, რომ რაიმე პრობლემა არ შეიქმნას. როგორც ჩანს, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. მეტიც, მათთვის უფრო მომგებიანიც კი შეიძლება იყოს ახალ საარჩევნო კალენდარს ახალი პირი ჩაუდგება და ყველაფერი იწყება სუფთა ფურცლიდან.

***– ვინ შეიძლება ეს ახალი პირი იყოს? ხელისუფლებას რამდენად აქვს პოლიტიკური ნება, რომ მიუკერძოებელი პირი აირჩიოს?***

– სიმართლე გითხრათ, მე დიდი მოლოდინი არ მაქვს. ერთი ადამიანი კოლეგიურ ორგანოში ვერაფერს ვერ შეცვლის.

***– მთლად ოპოზიციის ლიდერიც რომ დაინიშნოს თავმჯდომარედ, ვერაფერს შეცვლის, ამის თქმა გინდათ?***

– დიახ, სწორედ ასეა. ამიტომ გითხარით, ჩემთვის მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაცია როგორ შეიცვლება, ზოგადად როგორი ადმინისტრირება იქნება. რამდენად მიაქცია ამ ყველაფერს ოპოზიციამ ყურადღება თუ ყველაფერი მხოლოდ ერთი პირის ცვლილების მოლოდინზე ჩამოკიდა?! ეს არის მნიშვნელოვანი. რა მნიშვნელობა აქვს გვარის ცვლილებას, ჟვანია იქნება თუ ალაფიშვილი?!

ერთადერთი, თუკი მართლაც იქნება პოლიტიკურად ნეიტრალური და მართლაც დამოუკიდებელი, მას შეეძლება წინამორბედებისგან განსხვავებით გამოვიდეს და საჯაროდ განაცხადოს თუ ზეწოლაა მასზე, თუკი ადმინისტრაციაში კანონსაწინააღმდეგო რამ ხდება, თუკი ოქმები იცვლება, გადაწერა ხდება და ა.შ. თუმცა, აქვე მახსენდება უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის მაგალითი, რომელიც შეიძლება კარგი ანალოგია იყოს. გახსოვთ, რომ თქვა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზეწოლის მსხვერპლი ვარო. ასეთი სიტუაცია შეიძლება მივიღოთ.

***– შეიძლება ოპოზიციამ ჟვანიას გადადგომა ერთგვარ დივიდენდად ჩაიწეროს, ისე, როგორც მაგალითად, ალეკო ელისაშვილი საუბრობს „ჩაწიკწიკებულ“ საარჩევნო კოდექსზე?***

– არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო არის ხელმოწერილი დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და არა ოპოზიციის გამარჯვება. რაში გაიმარჯვა ოპოზიციამ?! რა ფუნდამენტურ ცვლილებას მიაღწია?! თუკი კარგი და მართლაც ჯანსაღი პოლიტიკურად ნეიტრალური საარჩევნო სისტემა შეიქმნება, ეს იქნება ქვეყნის გამარჯვება და არ რომელიმე პოლიტიკური პარტიის დამსახურება.

***– ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტი ამტკიცებს პრეზიდენტის წარდგინებით. კონსტიტუციით არის განსაზღვრული პროცედურები. მაღალი კვორუმი 100 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო. რაიმე კოლიზიას ელოდებით?***

– არა, ას დეპუტატს „ქართული ოცნება“ აკონტროლებს ფორმალურად თუ არაფორმალურად. „მოქალაქეები“, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერენ. ასევე სავარაუდოა, რომ „ევროპელი სოციალისტებიც“ ამ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. არ მგონია დიდი წინააღმდეგობა შეხვდეს ან გახარიას გუნდის მხრიდან. ასე რომ, ცესკოს ახალი თავმჯდომარე დაინიშნება.




## ლუდ „ნატახტარს“ ახალი გემო აქვს

**2021 წლის ლუდის სეზონს ლუდი „ნატახტარი“ განსაკუთრებული ცვლილებებით ხვდება და ეს გასაკვირიც არ არის – ბრენდი „ნატახტარი“ ინოვატორია, რომელიც ქართულ ლუდის ბაზარს ყოველწლიურად სიახლეებს სთავაზობს.**

ბოლო წლების განმავლობაში ბრენდმა თავისი ქოლგის ქვეშ სამი ფუნქციონალურად განსხვავებული ქვებრენდი წარმოადგინა, რომელიც შეზღუდული რაოდენობით იყო ჩამოსხმული და სხვადასხვა რეცეპტითა და ინგრედიენტებით საინტერესო სინთეზს წარმოადგენდა, რომელიც ლუდის სრულიად ახალი გემოების გასინჯვის საშუალებას აძლევდა ადამიანებს.

აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებითა და აფორიზმებით დამშვენებული „ნატახტრის“ სპეციალური გამოშვება, ასევე შეზღუდული რაოდენობით. ამ ინიციატივის დახმარებით, ბრენდმა ადამიანებს საყვარელ ლუდთან ერთად, შოთა რუსთაველის აფორიზმები გაახსენა და არაერთხელ მოიპოვა აღიარება საერთაშორისო კონკურსებზე.

სწორედ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ინოვაციებისა და ექსპერიმენტების ლოგიკური გაგრძელებაა ლუდი „ნატახტრის“ წარმოების ახალი ტექნოლოგიის – გახანგრძლივებული ფერმენტაციის დანერგვა, რომლის გამოყენებითაც მიღებულია „ნატახტრის“ ახალი, ხავერდოვანი გემო, რომელიც განსაკუთრებული ალაოსა და არომატული სვიის საუკეთესო კომბინაციით მიიღება.

ახალი გემო ადამიანების მოთხოვნილებების გულისყურით მოსმენით დაიწყო და მრავალი თვის კვლევების, ინგრედიენტების შერჩევისა და გემური თვისებების შეფასების მრავალი ეტაპისგან შედგებოდა. შედეგით „ეფეს საქართველოში“ ძალიან ამაყობენ და დარწმუნებულები არიან, რომ მათი შრომა ლუდის მოყვარულებს გულგრილს არ დატოვებს.

**– მსოფლიო სწრაფად იცვლება. ეს კარგად დავინახეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში: შეიცვალა ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის სტილი, ჩვენი აღქმა და გემოვნებაც იცვლება. ბრენდებმა უნდა აუბან ფეხი ამ ცვლილებებს და თუკი მნიშვნელოვანი ცვლილებების საჭიროება დგება, არ უნდა გავჩერდეთ და უნდა განვვითარდეთ. სწორედ ასე მივუდექით ბრენდ „ნატახტარს“ – ჩვენი მიზანია, ადამიანებს დავეხმაროთ, მაქსიმალურად დიდი სიამოვნება მიიღონ ლუდის მოხმარებით და თუკი ამისათვის ცვლილებებია საჭირო, ეს ყოველთვის მისასალმებელია.**

**„ნატახტრის“ ამოსავალი წერტილი ყოველთვის ადამიანი იყო. ადამიანი, რომელსაც ლუდი „ნატახტარი“ თავისად მიაჩნია. სწორედ ამ ადამიანებისთვის არის ეს ცვლილება და ჩვენ ყოველთვის მივესალმებით განვითარებას და წინსვლას, რადგან ერთ ადგილას გაჩერება დღეს უკანსვლის ტოლფასია. ამიტომ, გირჩევთ გასინჯოთ ლუდი „ნატახტრის“ ახალი, ხავერდოვანი გემო და გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდილებები, –** ამბობს „ნატახტრის“ მარკეტინგის მენეჯერი **ანა ქარჩავა.**

## უკრაინის რადამ სააკაშვილის ოფისის კანონპროექტს მხარი ერთხმად დაუჭირა



ორი ინიციატივა უპრეცედენტო მხარდაჭერით – უკრაინის რადა ისტორიაში პირველად 333 ხმით მხარს უჭერს ანტიკორუფციულ კანონპროექტს, რომლის მიზანი საზღვაო განათლების დარგში პრობლემების დარეგულირებაა.

ეს ინიციატივა მიხეილ სააკაშვილის რეფორმების ოფისს ეკუთვნის, თუმცა ეს არ არის ერთადერთი პროექტი, რომელზეც უახლოეს მომავალში რადამ უნდა იმსჯელოს.

საქართველოს მესამე პრეზიდენტის უკრაინულმა გუნდმა უკვე შეიმუშავა პროექტები, რომლებითაც ავტომობილის განბაჟება აპლიკაციით იქნება შესაძლებელი, მშენებლობის ნებართვის გაცემა კი გამარტივდება.

## კახა კალაძე: „მედიაზე თავდამსხმელი უნდა დაისაჯოს“

თბილისის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში წალკის მუნიციპალიტეტში ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტს ეხმაურება.

კახა კალაძე წერს, რომ ძალადობა, დაპირისპირება, კრიტიკული აზრის მიუღებლობა ხელს უშლის ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებას და აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

„სამწუხაროა, რომ მიწევს გამოვეხმაურო ისეთ მძიმე ფაქტს, როგორიც არის მედიაზე თავდასხმა და ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლა. ძალადობა, დაპირისპირება, კრიტიკული აზრის მიუღებლობა ხელს უშლის ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებას და აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

მედიის თავისუფლება არის ის ღირებულება, რითაც სამართლიანად ამაყობს საქართველო და არავის მივცემთ უფლებას, ამ ღირებულებას საფრთხე შეუქმნას.

წალკის მუნიციპალიტეტში მომხდარ შემთხვევაზე გამოძიება დაწყებულია და დარწმუნებული ვარ, დამნაშავე პირი სათანადოდ დაისჯება“ – წერს კახა კალაძე.

წალკის ინციდენტის დეტალები იხილეთ „ახალი თაობის“ დღევანდელი ნომრის მე-5 გვერდზე.

## ლევან ვასაძე სამკურნალოდ თურქეთიდან რუსეთში მიდის

### პრაიდის კვირეულში ის საქართველოში არ იქნება



„ერის“ დამფუძნებელი, ბიზნესმენი ლევან ვასაძე ამბობს, რომ ის პრაიდის კვირეულის პერიოდში საქართველოში არ იქნება. ამის მიზეზად ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ასახელებს.

ვასაძე აღნიშნავს, რომ თურქეთში მკურნალობის კურსი დასრულდა, დაუსვეს დიაგნოზი, აქვს პრობლემები გულზე და მკურნალობას რუსეთში, ბოკერიას კლინიკაში, გააგრძელებს.

ხუთწუთიან ვიდეომიმართვაში ვასაძე ხელისუფლებას მოუწოდებს, ხელი შეუშალოს 1-ელიდან 5 ივლისამდე გასამართ ღონისძიებას.

– ვხედავთ გავეშებულ ქმედებას ქვეყნის აფეთქებისა პრაიდის მეშვეობით, ეს არის ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობა რადიკალური სექსუალური უმცირესობისა და მათი უცხოელი დამფინანსებლების მიერ. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მთავრობას, არ აყვნენ პროვოკაციას და საჩქაროდ გააუქმონ პრაიდის კვირეული, ყველა მასთან დაკავშირებული ღონისძიება. არ დაუშვათ საქართველოს შემარცხვენელი ღონისძიება, – აცხადებს ლევან ვასაძე.

„ერის“ დამფუძნებელი სამართალდამცავ უწყებებსა და ქვეყანაში აკრედიტებულ საელჩოებსაც მიმართავს.

– მოვუწოდებ პოლიციას, ნუ დაუპირისპირდებიან ქართველ ერს, კარგად დაფიქრდნენ, რა ხელფასი უღირთ საქართველოში გარყვნილების, მამათმავლობის დასაცავად.

უცხოელ ელჩებს მოვუწოდებ, არ ჩაერიონ საქართველოს შიდა საქმეებში, იცოდნენ თავიანთი ადგილი და პატივი სცენ ჩვენს ტრადიციებს, – ამბობს ლევან ვასაძე.

## ზესტაფონში ვანო ბანცაძე მოკლეს

### დაკავებულია ინსპექტორ-გამომძიებელი

ზესტაფონში, თამარ მეფის ქუჩაზე, ახალგაზრდა კაცი მოკლეს. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ შეძლო.

31 წლის ვანო ბანცაძეს სამართალდამცველის კუთვნილი იარაღიდან ესროლეს.

მოკლული ხარაგაულელია. ის პროფესიით მექანიკოსი იყო და ერთ-ერთ ჩინურ კომპანიაში მუშაობდა.

ვანო ბანცაძე ზესტაფონში მეგობართან სტუმრად იმყოფებოდა, როდესაც სუფრაზე დაპირისპირება მოხდა, რომელიც მკვლელობით დასრულდა. სახლში დაწყებული კონფლიქტი გადაიზარდა ხელჩართულ დაპირისპირებაში ეზოში, რომლის დროსაც პოლიციელის ბიძამ 30 წლის მამაკაცს 1 ტყვია ესროლა და მოკლა.

ადგილობრივების თქმით, მათთვის უცნობია, თუ რა გახდა დაპირისპირების მიზეზი. ზესტაფონში მომხდარი განზრახ მკვლელობის საქმეზე, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გადაცემის ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-5 ნაწილი), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებელი ლ.ზ. დააკავეს. ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს ინფორმაციას.




ასევე, აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარებისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები) რ.ბ., ხოლო ნივთიერი მტკიცებულებების განადგურებისთვის (368-ე მუხლი) ხ.გ. დააკავეს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 30 ივნისს, ზესტაფონში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში სუფრაზე, სტუმრებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც რ.ბ.-მ ლ.ზ.-ს კუთვნილი ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან ვ.ბ.-ს ესროლა. გულმკერდის არეში მიღებული ჭრილობის შედეგად ვ.ბ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ასევე გამოძიებით დადგინდა, რომ მომხდარი დანაშაულის შემდგომ ხ.გ.-მ საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები გაანადგურა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებელ ლ.ზ.-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს.

სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

## წალკაში ტვ პირველის ჟურნალისტებს გამგებლის ბიძამ სცემა

თავდასხმა „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე – წალკაში, სოფელ წინწყაროში ადგილობრივების პრობლემების გასაშუქებლად ჩასულ „პირველების“ რეპორტიორ ნინო ელიკაშვილსა და ოპერატორ პაპუნა ხაჩიძეს გამგებლის ბიძა, გოჩა აფრასიძე, ფიზიკურად გაუსწორდა.



„ტვ პირველის“ გადამღები ჯგუფი სოფელ წინწყაროში მიწების მიტაცების საკითხის გასაშუქებლად ჩავიდა, რა დროსაც აქციაზე აგრესიულად განწყობილი გოჩა აფრასიძე გამოჩნდა და „ტვ პირველის“ ჟურნალისტს როგორც ფიზიკური, ასევე სიტყვიერი, შეურაცხყოფა მიაყენა. დაზიანებულია ტელეკომპანიის კუთვნილი აპარატურა.

სოფლის გამგებელი მომხდარ ძალადობაზე თვალს ხუჭავს და არ პასუხობს კითხვას, რატომ იტაცებს სოფლის მოსახლეობის კუთვნილ მიწებს.

ტვ პირველის მიერ გადაღებულ კადრებში პირდაპირ ჩანს, როგორ ემუქრება გამგებლის ბიძა იმ ადამიანებს, რომლებიც მიტაცებული მიწის დაბრუნებას ითხოვენ.

გოჩა აფრასიძე ადგილობრივი ფეოდალია. წალკის მოსახლეობა პირად საუბრებში არ მალავს, რომ ეს უკანასკნელი „ქართულ ოცნებას“ ხმების მობილიზებაში სხვადასხვა მეთოდებით ეხმარება და, შესაბამისად, ხელშეუხებლობის გარანტიით სარგებლობს.

ადგილობრივების განცხადებით, მთელი სოფელი აფრასიძეებმა მიიტაცეს. მათ შორის, ადმინისტრაციული შენობები.

ნინო ელიკაშვილი, პოლიციაში გამოკითხვაზე გადაიყვანეს, მოძალადე მამაკაცი კი პოლიციას არ დაუკავებია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტმა წალკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (ძალადობის) და 154-ე (ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის) მუხლებით დაიწყო.

მიმდინარე წლის 30 ივნისს, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში ტელეკომპანია პირველის გადამღებ ჯგუფს ფიზიკურად დაუპირისპირდა ადგილობრივი პირი, რომელმაც ჟურნალისტებს პროფესიულ საქმიანობაში შეუშალა ხელი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მათ.

შეტყობინების მიღებისთანავე პოლიცია შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა და დაიწყო საგამოძიებო ღონისძიებები.

მომხდარ ფაქტზე გრძელდება საგამოძიებო ღონისძიებები დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

## თემურ გულიაშვილი: „ჩემს შვილს ყავაში ნარკოტიკი ჩაუყარეს“



გორში დაკავებული შალვა გულიაშვილის, იგივე „სემსოტას“ ოჯახი ამბობს, რომ დაკავების დროს მას ნარკოტიკი ჩაუდეს.

გულიაშვილის მამა განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც დაკავებული სამმართველოში გადაიყვანეს, ყავა დაალევინეს. თემურ გულიაშვილი დარწმუნებულია, რომ სამართალდამცველებმა სწორედ ყავაში ჩაყარეს ნარკოტიკი.

დაკავებულის მამა ვარაუდობს, რომ პოლიცია ახლა მისი ოჯახის დევნას დაიწყებს.

– სამმართველოში გაუმასპინძლდნენ ყავით, ყავა დაალევინეს და შეიძლება კი არა 100%-იანი ვიცი, რომ შიგ ნარკოტიკი ჰქონდათ ჩაყრილი და ჩემმა შვილმა უარი თქვა ექსპერტიზაზე.

ნარკოტიკი უნდა ჩაედოთ, თუ მანქანით იქნებოდა, იარაღს ჩაუდებდნენ, თუ ფეხით იქნებოდა, ნარკოტიკს ჩაუდებდნენ. ჩემზე გახსნილი იქნება ზეწოლა, დევნა იქნება და კატეგორიულად ვაფრთხილებ, არ გაბედონ არც ჩემთან მოახლოება, არც ჩემ შვილებზე, არც ჩემ უახლოეს ნათესავებზე. ავაფეთქებ, ბოლომდე ვიბრძოლებ და ჩემი შვილის სიმართლეს დავამტკიცებ, – თქვა ბრალდებულის მამამ.

შალვა გულიაშვილის ადვოკატი მედიასთან საუბრისას ამბობს, რომ დაკავებული ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი არ იყო. მისივე თქმით, გულიაშვილი არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ ცნობს.

„სემსოტა“ გორში 29 ივნისს დააკავეს, პოლიცია მას თითქმის ერთი თვის განმავლობაში ეძებდა.

გულიაშვილს ბრალად ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## შვილების მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაში ბრალდებულს 17 წელი მიესაჯა

სასამართლომ სრულად გაიზიარა საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვანი შვილების მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ფაქტზე ბრალდებული ო.წ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წლის იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით ო.წ. სამი არასრულწლოვანი შვილის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას ახორციელებდა.

სამართალდამცველებმა ო.წ. 2021 წლის 26 თებერვალს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“, მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ნდობის გამოყენებით, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ (სამი ეპიზოდი) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლომ ო.წ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა

## მცხეთა-მთიანეთში დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტი ამოიღეს

### დაკავებულია 1 პირი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე 1 პირი დააკავა. მცხეთა-მთიანეთში ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი 3.000 კოლოფი სხვადასხვა დასახელების თამბაქოს ნაწარმი.

„საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი 3.000 კოლოფი სხვადასხვა დასახელების თამბაქოს ნაწარმი, ამოღებული საქონლის ჯამური საბაზრო ღირებულება 12.900 ლარს აღემატება“ – წერია განცხადებაში.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

## სამეგრელოში 2 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამეგრელოში 2 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ლენტური ტიპის დაურეგისტრირებელი სახერხი დანადგარები ქალაქ მარტვილში და მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჭყონშია გამოვლენილი.

„მოქალაქეებს სახერხი დანადგარები საცხოვრებელი სახლების ეზოებში ჰქონდათ განთავსებული. ტერიტორიებიდან ასევე ამოღებულია 1.4 კუბური მეტრი მუხისა და 3.82 კუბური მეტრი წიფლის სახეობის პირველადი გადამუშავების პროდუქტი – ჩამოუგანავი ფიცარი და 4 ერთეული სხვადასხვა სახეობის მრგვალი ხე-ტყე – მორი.

ვინაიდან ორივე ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებაში გადაიგზავნა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

## უაქციზო თამბაქოსა და ალკოჰოლის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლებმა სამტრედიაში, წყალტუბოში, ზუგდიდსა და თბილისში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 4282 კოლოფი უაქციზო თამბაქოსა და 9 ლიტრი უაქციზო კონიაკის ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 8 ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ უაქციზო საქონელი.

7 ფაქტზე, სამართალდამრღვევი პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552 მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და საქმის მასალები ქვემდებარეობის მიხედვით სასამართლოს გადაეცა

1 ფაქტზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.

## თბილისში, ბაზალეთის ქუჩაზე, მე-3 სართულიდან 75 წლის ქალი გადავარდა

გუშინ, 30 ივნისს, თბილისში, ბაზალეთის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულის აივნიდან 75 წლამდე ქალი გადავარდა.

მეზობლები ვარაუდობენ, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო, რადგან ქალს მხედველობა ჰქონდა დაქვეითებული. მათივე ცნობით, გადმოვარდნის შემდეგ ქალი კონტაქტური იყო და ამ ეტაპზე ის კლინიკაშია გადაყვანილი.

მომხდარზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## სუსმა ამბროლაურის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარე დააკავეს.

„პირველების“ ინფორმაციით, დაკავებულია საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წევრი გივი ქურციკიძე.

სუს-ის ცნობით, როგორც გამოძიებით დგინდება, საკრებულოს ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარემ დაარწმუნა მოქალაქე, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთა მეშვეობით, უზრუნველყოფდა თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდას, რაშიც ქრთამის სახით 140.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა.

2021 წლის 29 ივნისს მან მოქალაქეს წინასწარ გამოართვა ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 30.000 აშშ დოლარი, როდესაც ის დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

## „გვარამიას ბრალდება წარდგენილი აქვს პოლიტიკური მოტივით“

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას საქმეზე საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი მოწმე დაკითხეს – საუბარია რუსთავი 2-ის 10%-იანი წილის მფლობელის, ნინო ნიჟარაძის, ადვოკატზე.

ნიკა გვარამიას ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის თქმით, გიორგი ყავლაშვილის დაკითხვას რაიმე არსებული გარემოებები საქმეში არ შეუცვლია, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ „მთავარი არხის“ დირექტორის წინააღმდეგ აღძრული საქმე რეალურად პოლიტიკური დაკვეთაა. პროკურატურა ნიკა გვარამიას რუსთავი 2-ის ქონებრივი უფლების გაფლანგვას ედავება, როდესაც ის კომპანიის დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

## დიმიტრი კულება: „უკრაინელები და რუსები ორი სხვადასხვა ერია, რუსები უკრაინაში ეროვნული უმცირესობაა“



უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, დიმიტრი კულებას განცხადებით, უკრაინელები და რუსები ორი სხვადასხვა ერია და რუსები უკრაინაში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ და არა – მკვიდრ მოსახლეობას.

ამით კულებამ რუსეთის პრეზიდენტის მიერ გუშინ, 30 ივნისს, გაკეთებულ განცხადებებს უპასუხა, როდესაც მან აღნიშნა, რომ „უკრაინელ ხალხს არამეგობრულ ხალხად არ თვლის და მიიჩნევს, რომ უკრაინელები და რუსები ერთი ხალხია“.

– უკრაინელები და რუსები ორი სხვადასხვა ერია. ჩვენ შეგვეძლო გვეცხოვრა, როგორც კარგ მეზობლებს, რუსეთი 2014 წელს თავს რომ არ დასხმოდა უკრაინას, არ მოეკლა ათასობით ადამიანი და არ მოეხდინა ჩვენი მიწების ოკუპირება. ჩვენს ერებს შორის უფსკრულის გაჩენაზე სრული პასუხისმგებლობა პუტინს ეკისრება, რომელმაც აგრესია წამოიწყო.

უკრაინის მკვიდრი მოსახლეები არიან ყირიმელი თათრები, კრიმჩაკები და ყარაიმები. რუსები არიან ეროვნული უმცირესობა, რომლებსაც, როგორც სხვა უმცირესობებს, კონსტიტუცია იცავს. მათ საკუთარი სახელმწიფო აქვთ და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლებიან მკვიდრ მოსახლეებად. ალტერნატიული ფანტაზიები კლასიკური რუსული მანიპულაციებია, – წერს კულება „ტვიტერზე“.

უკრაინის საგარეო უწყების ხელმძღვანელი პუტინის კიდევ ერთ კომენტარს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, „უკრაინის ცხოვრების ძირითადი საკითხები არა კიევში, არამედ ვაშინგტონში, ნაწილობრივ კი ბერლინსა და პარიზში წყდება“.

– ჩვენ ადრეც გვინახავს ეს ფილმი: პუტინი საუბრობს „გარე მენეჯმენტზე“, რაც სინამდვილეში გულისხმობს: მას სურს, უკრაინის საკითხები მოსკოვში წყდებოდეს. პრეზიდენტ ზელენსკის პოზიცია და უკრაინელების ნება ცხადია: ეს ჩვენი ქვეყანაა და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული მისი ბედის გადაწყვეტა, – წერს კულება.

## გლობალური ტურიზმის ზარალმა, შესაძლოა, 4 ტრილიონ დოლარს გადააჭარბოს



გლობალური ტურიზმის ზარალმა, შესაძლოა, 4 ტრილიონ დოლარს გადააჭარბოს, – ამის შესახებ გაეროს ანგარიშშია აღნიშნული.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ერთობლივ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზარალის ზრდას ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში ვაქცინაციის ნელი ტემპი.

– ტურიზმი მაშველი რგოლია მილიონებით ადამიანისთვის და ვაქცინაციის პროცესის პროგრესი საზოგადოების დაცვისა და ტურიზმის უსაფრთხოდ გახსნის მიზნით კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილებისა და საჭირო რესურსების შესაქმნელად, – აღნიშნა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა.

პანდემიის გამო მსოფლიოში მოგზაურობის შეჩერებით გასულ წელს ტურიზმმა და მასთან დაკავშირებულმა სექტორებმა 2.4 ტრილიონი აშშ დოლარის ზარალი ნახა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ წელსაც მსგავსი რაოდენობის ზარალია მოსალოდნელი, თუმცა ეს დამოკიდებულია ვაქცინების განაწილებაზე.

მოხსენებაში განმარტებულია, რომ ეკონომიკური ზიანი კონცენტრირდება იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაციის მაჩვენებელი დაბალია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის მხოლოდ 1%-ია აცრილი მაშინ, როცა ზოგმა ქვეყანამ საკუთარი მოსახლეობის 60%-ზე მეტის ვაქცინაცია განახორციელა.

„ვაქცინების ასიმეტრიული გავრცელება ზრდის ეკონომიკურ დარტყმას, რომელიც ტურიზმმა განვითარებად ქვეყნებში განიცადა და მათზე, შესაძლოა, გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზარალის 60% მოვიდეს“ – ნათქვამია მოხსენებაში.

ტურიზმის აღდგენა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და შვეიცარია, უფრო სწრაფადაა მოსალოდნელი.

ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია საერთაშორისო მოგზაურობის მაჩვენებლის პანდემიამდე ნიშნულზე დაბრუნებას 2023 წლამდე არ ელოდება.

ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია ტურიზმის გამოცოცხლება, 2021 წელს ტურიზმის ზარალმა, შესაძლოა, 1.7-2.4 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინოს.

## კრავჩუკს გულზე ოპერაცია გაუკეთეს



უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა, 87 წლის ლეონიდ კრავჩუკმა ანაზდად თავი ცუდად იგრძნო. ის არ დაესწრო პარლამენტის საზეიმო სხდომას, რომელიც უკრაინის კონსტიტუციის მიღების 25-ე წლისთავს მიეძღვნა. მალე კრავჩუკი საავადმყოფოში წაიყვანეს.

უკრაინის პირველ პრეზიდენტს გულზე სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა.

ამჟამად კრავჩუკი თავს კარგად გრძნობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

## მერაბ რატიშვილი: „ეს ქართული კალათბურთის აღიარებაა“



3-11 ივლისს ლატვიის ქალაქებში – რიგასა და დაუგავპილსში 19-წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩატარდება. მერაბ რატიშვილი ერთადერთი ქართველი ფიბა-ს კომისარი და ტექნიკური დელეგატია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატს მოემსახურება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ქართველი არბიტრი (ან კომისარი) სამუშაოდ ამ რანგის ტურნირზე მიიწვიეს.

***– დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე აქამდე ქართველ მსაჯს, ან კომისარს არ უმუშავია. რამდენად აცნობიერებთ ესოდენ დიდ პასუხისმგებლობას მსოფლიო კალათბურთის მმართველი ორგანიზაციისგან?***

– რასაკვირველია, პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, რადგან მსოფლიოში არსებული მოქმედი კომისრებიდან ფიბამ ამ შეჯიბრების მომსახურება 4 პიროვნებას (ორს ევროპიდან, თითოს – აფრიკიდან და ამერიკიდან) გვანდო. მიმდინარე სეზონში, ოლიმპიური თამაშების შემდეგ, მსოფლიოს 19-წლამდე ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი, ჩვენს პლანეტაზე რანგით ყველაზე დიდი ტურნირია. ეს არ არის მხოლოდ ჩემი დაფასება ან ნდობა, ეს აგრეთვე გახლავთ საქართველოს საკალათბურთო სამყაროს სოლიდურობის აღიარება.

***– პანდემიის გამო შარშან ფიბა-ს ასაკობრივი მსოფლიოს და კონტინენტური ჩემპიონატები არ ჩატარდა. ეს მსოფლიოს ჩემპიონატიც ალბათ ბაბლის პრინციპით ტარდება, რაც კომისრებს ჩვეულებრივზე მეტი მოვალეობებს აკისრებს.***

– შარშანდელი სეზონის, პრაქტიკულად, გაუქმების შემდეგ (არ ჩატარდა მსოფლიოს 17-წლამდე ვაჟთა და ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატები, კონტინენტური ასაკობრივი ჩემპიონატები, ევრობასკეტის ჩატარება ერთი წლით გადაიდო), ფიბას გადაწყვეტილებით შარშანდელი ოქტომბრიდან ყველა ტურნირი ტარდება ბაბლის პრინციპით, რაც არ არის იდეალური, მაგრამ უკეთესი სისტემა სადღეისოდ არ არსებობს. პირველ ეტაპზე, რიგასა და დაუგავპილსში იქნება ცალ-ცალკე ბაბლები 8-8 გუნდით, ხოლო ფინალურ ეტაპზე ყველა, 16-ივე გუნდი რიგაში მოიყრის თავს და იცხოვრებს ერთ ბაბლში. თავისთავად, 16-გუნდიან ბაბლს სჭირდება გაცილებით დიდი ყურადღება და კონტროლი, ამიტომაც ჩემპიონატზე მომუშავე კომისრებს პირდაპირ გვაქვს დავალებული, რომ კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი საორგანიზაციო კომიტეტს, ტურნირზე აკრედიტებულ ექიმებს და კოვიდ-ოფიცრებს, რათა მოხდეს კოვიდ-პროტოკოლის სრული დაცვა და მინიმუმამდე მაინც შემცირდეს ვირუსის გადაცემის ან შიდა გავრცელების შესაძლო შემთხვევები. პირადად მე ვეთანხმები ამ სისტემას, რადგან პირველ რიგში მოთამაშეების (თანაც ახალგაზრდების), ისევე, როგორც ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილეების ჯანმრთელობა არის უპირველესი პრიორიტეტი.

***– ა და ბ დივიზიონების ნაცვლად ამ ზაფხულს ფიბა-ევროპამ გადაწყვიტა, პანდემიური ფონიდან გამომდინარე, მცირეგუნდიანი ჩელენჯერები ჩაეტარებინა და ევროპის მასშტაბით დაგეგმილ 28 ასეთი ტურნირიდან 11-ში ქართველი არბიტრები და კომისარი იმუშავებენ. რამდენად დიდი წარმატება გახლავთ ეს საქართველოსთვის და რამდენად მოსალოდნელია ქართველი მსაჯების მატება საერთაშორისო ასპარეზზე?***

– ციფრები თავად პასუხობს თქვენი კითხვის პირველ ნაწილს – ჩვენი მსაჯებისა და კომისრის ჩართულობა ევროპულ ჩელენჯერებზე საკმაოდ დიდია. სასიამოვნოა, რომ აღნიშნულ დანიშვნებში ფიგურირებენ როგორც გამოცდილი არბიტრები – მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, ასევე ახალგაზრდებიც – მიხეილ ვართანოვი, კირილე თვაური.

ჩელენჯერების ორგანიზებაში სერიოზულადაა ჩართული საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია: იცით, რომ თბილისში 2 ჩელენჯერი გაიმართება – ივლისში 20-წლამდე ვაჟთა, ხოლო აგვისტოში – 16-წლამდე ქალთა ჩემპიონატები.

რაც შეეხება ქართველი ფიბას არბიტრების მატებას – მოგეხსენებათ, ფიბას მსაჯთა სალიცენზიო პერიოდი ორწლიანია. ახალი ციკლი იწყება 2021 წლის 1 სექტემბერს და უკვე მოქმედმა ქართველმა ფიბას არბიტრებმა და კომისარმა წარმატებით ჩააბარეს ფიბას გამოცდები ლიცენზიების კიდევ 2 წლით გასახანგრძლივებლად. იქნება მატებაც – ქალი მსაჯის მხრივ. თუმცა, არ მინდა მოვლენებს გავუსწრო და სჯობს დაველოდოთ ფიბას ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც მომდევნო თვეში გამოქვეყნდება.

ამ ყველაფერში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და მის მსაჯთა ეროვნულ ინსტრუქტორს დრაგან ნეშკოვიჩს. მათ მიერ შემუშავებული მსაჯთა განვითარების პროგრამა, რომელშიც ინტენსიურად არიან ჩართულები უმაღლესი დონის ევროპელი მოქმედი მსაჯები (ილია ბელოშევიჩი, სრეტენ რადოვიჩი, საშა პუკლი) და მსაჯთა ინსტრუქტორები, იძლევა შედეგს, რისი ნათელი დადასტურებაცაა წლევანდელი ზაფხულის დანიშვნები და ქართველი ფიბას არბიტრების რაოდენობის ზრდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## ქმარმა საკუთარი სიკვდილით დასჯა გაითამაშა და ცოლის შეკვეთილ მკვლელობას გადაურჩა

ამერიკელი რამონ სოსა იძულებული გახდა საკუთარი სიკვდილით დასჯა გაეთამაშებინა, რათა ამით პოლიციას საკუთარი ცოლის დაპატიმრებაში დახმარებოდა, რომელიც მის მოსაკლავად მკვლელის დაქირავებას ცდილობდა.

ის, რომ მისი მეუღლე მარია მკვლელობის შემსრულებელს ეძებდა, სოსამ თავისი მეგობრისგან გაიგო, რომლისთვისაც ქალის გეგმები ცნობილი იყო. მამაკაცმა თავდაპირველად მისი ნათქვამი არ დაიჯერა, მაგრამ მეგობარმა, რომელიც ადრე თავად იყო ბოროტმოქმედი, მისი დარწმუნება მოახერხა. ცნობილია, რომ მარია მექსიკაშია დაბადებული, ხოლო აშშ-ის მოქალაქეობა 2010 წელს მას შემდეგ მიიღო, როდესაც რამონს გაჰყვა ცოლად. ქორწილის შემდეგ ქალის დედამ მამაკაცს უთხრა: „ახლა ის უკვე შენი პრობლემაა“. წლების შემდეგ მათი ურთიერთობა სერიოზულად გაუარესდა, მარია ავრცელებდა ხმებს, რომ მისი მეუღლე ალკოჰოლიკი და სასტიკი ადამიანი იყო, შემდეგ კი მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მეუღლის სიცოცხლე ქალმა ორი ათას დოლარად შეაფასა. მისგან შეკვეთა ჩანერგილმა პოლიციელმა მიიღო. შემდეგ კი სოსა პოლიციას საკუთარი მკვლელობის ინსცენირებაში დაეხმარა, რათა ცოლს მისი სიკვდილის მტკიცებულება მიეღო. სოსა ტრუსიკის ამარა დატოვეს, ხელები ზურგს უკან შეუკრეს, ხოლო საფეთქელზე ნატყვიარი მიახატეს.

ეს ყოველივე სამართალდამცავებს მკვლელობის შემკვეთის დაკავებასა და პასუხისგებაში მიცემაში დაეხმარა. ქმრის მკვლელობის მსურველ ქალს 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## ბოკვერებიანი ძუ ვეფხვი სოფელში შეიჭრა და ორი ადამიანი დააშავა



ინდოეთის ქალაქ ჩანდრაპურის მახლობლად მდებარე სოფელში ძუ ვეფხვი შეიჭრა და ორი ადამიანი დააშავა, რომლებიც მის იქიდან გაგდებას ცდილობდნენ.

22 ივნისის საღამოს ძუ ვეფხვმა ორი თერთმეტი თვის ბოკვერით, სადაშივ მოხურლას კუთვნილ ფერმაში ხბო მოკლა. მტაცებელმა ის ღამე სოფელში გაატარა და ნადავლს ჭამდა.

მეორე დღეს რამეშ მერშამ ბოკვერებიანი ძუ ვეფხვი შენიშნა, რომლებიც სოფლის გუბურას მახლობლად ბუჩქნარში ისვენებდნენ და განგაში ატეხა. სანამ სატყეო მეურნეობის და ვეფხვების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები შემთხვევის ადგილზე მივიდოდნენ, ადგილობრივი მცხოვრებლების ბრბომ მოიყარა თავი მტაცებლების სანახავად. ადგილზე მისულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიწყეს ოპერაცია ძუ ვეფხვის და მისი ნაშიერების სოფლის არემარედან გასაძევებლად. როდესაც ამისთვის მათ გამაყრუებელი ხმაური ატეხეს, ძუ ვეფხვი მათ თავს დაესხა. შედეგად დაშავდნენ სოფლის მკვიდრი 60 წლის შანკარ ბანსოდი და ვეფხვების დაცვის ორგანიზაციის თანამშრომელი სუნილ გაჯალვარი. ორივე დაშავებული ადგილობრივ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ბანსოდი მალევე გამოწერეს, ხოლო გაჯალვარი უფრო სერიოზულ სამედიცინო დაწესებულებაში იქნა გადაყვანილი. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მტაცებლების ოჯახის სოფლის მიდამოებიდან განდევნის განმეორებითი ოპერაცია მოგვიანებით ჩატარდება, მანამდე კი სოფლის მცხოვრებლებს მათთან მიახლოვებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

## ზურა ხაჩიძეს ზურა ბაკურაძის სახელობის ფესტივალის დაარსება სურს



ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთ წევრს ზურა ხაჩიძეს ანსამბლ „ქართული ხმების“ ტრაგიკულად დაღუპული მომღერლის ზურა ბაკურაძის სახელის უკვდავსაყოფად ფესტივალის დაარსება სურს:

– რამდენიმე დღეა, რაც ზურა ბაკურაძე გარდაიცვალა, უბედური შემთხვევის გამო. ვფიქრობ, მინდოდა დამეწერა, მაგრამ აქამდე თავი ვერ მოვუყარე სათქმელს, ვინ იყო ზურა და რა გვასწავლა მისმა განვლილმა გზამ.

მეტი სითბო, სიყვარული, საკუთარი საგანძურის და ერთმანეთის მიმართ. ქართულ ფოლკლორს ვგულისხმობ და სიყვარული საკუთარი მიწა-წყლის, შენი კუთხის და ასევე შენი სამშობლოს მიმართ. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს მისი სიყვარული და ყურადღება ადამიანებისადმი.

ნუ განვიკითხავთ, მეტად მოვეფეროთ ერთმანეთს და ნაკლები შურით ვიცხოვროთ. მეტი ყურადღება დავუთმოთ ჩვენს ქვეყანას და მის ყველა საგანძურს. წამია ადამიანის სიცოცხლე. არ აქვს მნიშვნელობა არც თანამდებობას, არც მატერიალურ მდგომარეობას. ფასეულია რისთვის იცხოვრე, რა შექმენი და ვის გაუწოდე ხელი დასახმარებლად.

ვფიქრობ, ზურა ბაკურაძის მთავარი სათქმელიც ამ 42 წლის მანძილზე ეს იყო. და არამარტო. ყველა, ვინც ამ ქვეყანას ემსახურა, სწორედ ეს მაგალითი დაგვიტოვა. თემურ წიკლაური, ზურა დოიჯაშვილი, კახი კავსაძე, ანზორ ერქომაიშვილი, რეზო გაბრიაძე, თემურ ქევხიშვილი და ყველა ამ ქვეყნის შვილი, ვინც ჩვენი სამშობლოს სამსახურში იდგა.

მის ძმას – გივის და მის ოჯახს მინდა ვუთხრა, რომ ზურამ იცხოვრა კაცურად, უყვარდა ყველა, უყვარდა ყველას. დაგვიტოვა დიდი საქმე, რომელიც მისმა შვილებმა, მოსწავლეებმა უნდა გააგრძელონ. სატირალი ის არის, ვინც ასე ვერ იცხოვრა და სიკეთე ვერ დატოვა.

ვუსამძიმრებ „ქართულ ხმებს“. ვიცი, რამხელა ტკივილია და დანაკლისი ანსამბლის წევრის და ძმის დაკარგვა. ცხოვრება გრძელდება, ჩვენ და სრულიად საქართველო თქვენს გვერდით ვართ. გვიყვარხართ და გვინდა მალე დაგვიბრუნდეთ სცენაზე. თქვენი და ზურა ბაკურაძის აქტიური მსმენელი დავრჩები სიცოცხლის ბოლომდე.

ქართულ ფოლკლორს ვინც ჩასწვდა, იმღერა, ყველამ იცის, რომ ეს არის საქართველოს გენეტიკური კოდი, რომელსაც ვერავინ წაშლის.

სწორედ ამ კოდის ნაწილი იყო ზურა ბაკურაძე. ვილოცოთ მისთვის და მოვიხსენიოთ ლოცვებში მისი ნათელი სული.

და ბოლოს. თუ დაგჭირდებით, იცოდეთ, რომ თქვენს გვერდით ვარ, მიყვარხართ და მინდა ყველამ ერთად მივბაძოთ ზურა ბაკურაძეს და გავაგრძელოთ მისი კაცურად გავლილი გზა.

ზურას სახელის უკვდავსაყოფად, დიდი სურვილი მაქვს დავაარსო მისი სახელობის ფოლკლორის ფესტივალი. დარწმუნებული ვარ, ზურას ეს ძალიან გაუხარდებოდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## გოგონას მეგობრებთან ერთად გართობა 50 მილიარდი დოლარის ვალად დაუჯდა



ამერიკელმა გოგონამ აღმოაჩინა, რომ მან ბანკს 50 მილიარდი დოლარი უნდა დაუბრუნოს მეგობრებთან ერთად დასვენების შემდეგ. თავისი ისტორია გოგონამ ტიკტოკში მოყვა.

მეგობრების კომპანიაში გამართული წვეულების შემდეგ, ღამის ორ საათზე გაღვიძებულმა გოგონამ სახელად მედი მაკგივერნმა გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ რა თანხა ჰქონდა დარჩენილი ანგარიშზე. მას ახსოვდა, რომ ბარათზე დაახლოებით 76 დოლარი ჰქონდა დარჩენილი. თუმცა, როდესაც გოგონამ მობილური დანართის დახმარებით ბალანსი შემოწმება მოითხოვა, ბანკში უპასუხეს, რომ მისი დავალიანება ათეულ მილიარდობით დოლარს შეადგენდა.

– შემიძლია ვთქვა, რომ ლოს-ანჯელესი ვიყიდე, მაგრამ ეს ჩემი შემთხვევა ნამდვილად არ არის, – იხუმრა მაკგივერნმა.

მედიმ ბანკში დარეკა და ოპერატორს ჰკითხა, მართლა ჰქონდა თუ არა ასეთი თანხის დავალიანება. ოპერატორმა კონკრეტულად ვერაფერი უპასუხა და ლოდინის რეჟიმზე გადაიყვანა.

მეორე დილით მაკგივერნი თავად მივიდა ბანკში, სადაც ფინანსური დაწესებულების თანამშრომლებმა აცნობეს, რომ მისთვის მიწერილი უზარმაზარი დავალიანება ბანკის ახალ ორიგინალურ საშუალებას წარმოადგენს, რათა კლიენტს აცნობონ, რომ მის ანგარიშზე ყველაფერი წესრიგში არ არის. მალე პრობლემა მოგვარდა და გოგონას ბარათიდან ვალი ჩამოეწერა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ტური დამთავრდა, ტური იწყება



**სამგურალი-საბურთალო 1:1**

**წყალტუბო. 26 მაისი**

0:1 შულაია (18), 1:1 კუხიანიძე (28)

**სამგურალი:** ქვილითაია, პატარკაციშვილი, ახვლედიანი (ჩიხლაძე 75), ქურდაძე, ბურჯანაძე, ფონიავა (ტურე 89), კირკიტაძე (დოლიძე 75), ლექვთაძე (ვერულიძე 60), კიკაბიძე, კუხიანიძე, კალანდარიშვილი

**საბურთალო:** გოშაძე, მალი (მანდრიჩენკო 84) , ლაცაბიძე, ჯგერენაია, კაკუბავა, მუდრაკი, ლ.ნონიკაშვილი (ოდუკო 79), ცნობილაძე, ტერა (შ.ნონიკაშვილი 84), გოჩოლეიშვილი (გულიაშვილი 79), შულაია (ტაბატაძე 69)

საინტერესო მატჩი გაიმართა წყალტუბოში. თუ საბურთალო მოიგებდა, მე-3 ადგილზე აინაცვლებდა, ხოლო სამგურალი, გამარჯვების შემთხვევაში, სამეულში შესვლის მშვენიერ შანსს დაიტოვებდა. საბოლოოდ, თამაში 1:1 დასრულდა.

მე-18 წუთზე მაქსიმე ქვილითაიამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც საკუთარ საჯარიმოში აკაკი შულაიას მოტყუება განიცადა, მაგრამ საბურთალოელთა შემტევმა ბურთი აართვა და ცარიელ კარში შეაგორა. არადა, მანამდე ქვილითაიამ დაჩი ცნობილიძის უძლიერესად დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია და საკუთარი გუნდი გადაარჩინა.

28-ე წუთზე შეცდა საბურთალოელთა მეკარე ოთო გოშაძეც, რომელიც ცუდად გამოვიდა ირაკლი ლექვთაძის ჩაწოდებულ ბურთზე და სერგი კუხიანიძემ დაასწრო. ეს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელის მე-7 გოლია მიმდინარე სეზონში.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდს შეეძლო გატანა. ბოლო ნაწილი უფრო სამგურალის იყო და იმავე კუხიანიძეს მასპინძლების 3 ქულის მოტანა შეეძლო, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

ამ მატჩით მე-20 ტური კი დამთავრდა, მაგრამ დღესვე 21-ე ტური იწყება, რომელიც კვირის ჩათვლით გასტანს.

**1 ივლისი**

**დინამო (თბ)-დინამო (ბთ)**

**20:30. თბილისი. დინამო არენა**

ტური ცენტრალური მატჩით გაიხსნება. ჩემპიონატის ლიდერები, ორივე დინამო თბილისში შეხვდებიან ერთმანეთს.

ამ წუთისთვის უპირატესობა დედაქალაქელებს აქვთ, რადგან მეტოქეზე ქულით წინ არიან. თუმცა, წელს ზღვისპირელებს „ეხერხებათ" უშუალო კონკურენტთან თამაში და სეზონის 2 მატჩი უკვე მოუგეს.

ვნახოთ, რა იქნება ამჯერად... ამასთან, ეს მატჩი მომავალი ევროტურნირების წინ, სადაც ორივე გუნდი იასპარეზებს, გენერალური რეპეტიცია იქნება.

**დილა-ლოკომოტივი**

**21:00. გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

არანაკლებ საინტერესო მატჩი უნდა გაიმართოს გორში, სადაც საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები ერთმანეთს ხვდებიან.

გასულ სეზონში დილამ ბოლო ტურში წაართვა ლოკომოტივს ევროსაგზური და წელსაც ერთმანეთს ეცილებიან. ჯერჯერობით, ლოკო წინაა, მაგრამ სეზონის ბოლომდე დიდი დროა დარჩენილი.

**2 ივლისი**

**შუქურა-სამტრედია**

**18:00. ფოთი. ფაზისი**

ორივე გუნდისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩია. შუქურამ სეზონი უკეთ დაიწყო, მაგრამ ბოლოს „აურია" და ახლა გასავარდნ ზონაშია. სამტრედია კი, სულაც ბოლო ადგილზეა და გია ცეცაძის გუნდმა ეს მატჩიც თუ წააგო, ძალიან გაირთულებს სიტუაციას.

**4 ივლისი**

**თელავი-სამგურალი**

**20:00. თელავი. კავკასიონი არენა**

თელავი ბოლო ტურებში კარგად გამოიყურება და ზედიზედ 3 მატჩი მოიგო. ამან გუნდს საშუალება მისცა, ცხრილში საგრძნობლად დაწინაურებულიყო. მანამდე ბოლო ადგილზე მყოფი კახელები ახლა უკვე უფრო მეტს ფიქრობენ და ცდილობენ ფლეი აუტი თავიდან საერთოდ აიცილონ.

სამგურალს კი სხვა მიზნები აქვს, უფრო მაღალი, მაგრამ რამდენად გაწვდება, ამას სეზონი გვიჩვენებს.

**საბურთალო-ტორპედო**

**21:00. თბილისი. მიხეილ მესხი**

ორი განსხვავებული მიზნებისთვის მებრძოლ გუნდებში ფავორიტი საბურთალოა. თუმცა, ხანდახან ტორპედოსაც აქვს „გამონათებები" და იცის მინი-სენსაციების შემოთავაზება. რა იქნება ამჯერად, ამას თამაში გვიჩვენებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 20 | 13 | 2 | 5 | 31-15 | 41 |
| 2.დინამო (ბთ) | 20 | 11 | 7 | 2 | 37-14 | 40 |
| 3.ლოკომოტივი | 20 | 10 | 3 | 7 | 35-31 | 33 |
| 4.საბურთალო | 20 | 8 | 8 | 4 | 28-21 | 32 |
| 5.დილა | 20 | 9 | 5 | 6 | 22-19 | 32 |
| 6.სამგურალი | 20 | 7 | 7 | 6 | 20-22 | 28 |
| 7.ტორპედო | 20 | 3 | 10 | 7 | 18-21 | 19 |
| 8.თელავი | 20 | 4 | 6 | 10 | 17-33 | 18 |
| 9.შუქურა | 20 | 3 | 8 | 9 | 16-28 | 17 |
| 10.სამტრედია | 20 | 2 | 4 | 14 | 18-38 | 10 |

# ყველა მეოთხედფინალისტი ცნობილია

**ინგლისი-გერმანია 2:0**

**ლონდონი. უემბლი**

1:0 სტერლინგი (75), 2:0 კეინი (86)

**ინგლისი:** პიკფორდი, უოკერი, მაგუაირი, სტოუნსი, ტრიპიერი, ფილიპსი, რაისი (ჰენდერსონი 88), შოუ, საკა (გრილიში 69), კეინი, სტერლინგი

**გერმანია:** ნოიერი, გინტერი (ჯანი 87), ჰუმელსი, რუდიგერი, კიმიხი, გორეცკა, კროოსი, გოსენსი (სანე 88), ჰავერცი, მიულერი (მუსიალა 90), ვერნერი (გნაბრი 68)

როგორც ჩანს, ინგლისის ნაკრებმა საკუთარი თამაში იპოვა და ახლა ყველა მეტოქისთვის საშიში გახდება. ამასთან, ინგლისელები გოლს არ უშვებენ და გერმანიასთანაც მშრალად შეინახეს კარი – 2:0.

გერმანელებზე მანამდეც ბევრი იწერებოდა, რომ არასტაბილურები არიან და ეს კარგად გამოჩნდა. გუნდი ბევრს სცოდავდა, უშვებდა შეცდომებს. ალბათ კიდევ დიდხანს ეხსომებათ ტომას მიულერის მიერ მეკარესთან პირისპირ გასვლა და გაცუდებული მომენტი.

მოკლედ, იოაჰიმ ლიოვს ევროპის ჩემპიონატის მოგება ოცნებად დარჩა. ამას სხვა გუნდთან თუ მოახერხებს, თორემ ბუნდესნაკრებთან კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა.

ინგლისის ნაკრებში რაჰიმ სტერლინგმა ისევ გაიტანა. ჰარი კეინმაც გაიხსენა, რომ მისი საქმე გოლების გატანაა და ამ ევროპირველობაზე პირველად შეაგდო.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რაჰიმ სტერლინგი**

ინგლისის ნაკრების შემტევი, ჯერჯერობით, ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც ყველა მატჩში სხვებზე უკეთ გამოიყურება. სტერლინგმა მიმდინარე ევროპირველობაზე უკვე 3 გოლი გაიტანა. აქედან ერთი გერმანიასთან, რომელმაც ლიოვის გუნდი წელში გატეხა.

**შვედეთი-უკრაინა 1:2 (დდ)**

**გლაზგო. ჰემპდენ პარკი**

0:1 ზინჩენკო (27), 1:1 ფორსბერგი (43), 1:2 დოვბიკი (120)

**შვედეთი:** ოლსენი, ლუსტიგი, ლინდელოფი (კრაფტი 83), დანიელსონი, აუგუსტინსონი (ბენგტსონი 83), ლარსონი (კლაესონი 97), ოლსონი (ჰელანდერი 101), ეკდალი, ფორსბერგი, კულუშევსკი (კუასონი 97), ისაკი (ბერგი 97)

**უკრაინა:** ბუშჩანი, ზაბარნი, კრივცოვი, მატვიენკო, კარავაევი, სიდორჩუკი (ბეზუსი 117), სტეპანენკო (მაკარენკო 95), შაპარენკო (მალინოვსკი 61), ზინჩენკო, იარმოლენკო (დოვბიკი 106), იარემჩუკი (ბესედინი 91, ციგანკოვი 101)

**გაძევება:** დანიელსონი (98)

უკრაინის ნაკრები მერვედფინალში რომ მოხვედრილიყო, სხვაზე იყო დამოკიდებული და ბოლო წამს გავიდა. ბოლო წამს გავიდა უკრაინა მეოთხედფინალშიც, მაგრამ ახლა უკვე საკუთარი ფეხბურთელების ძალისხმევით, როდესაც დამატებითი დროის ბოლო წუთზე 2:1 მოუგეს შვედებს.

ძირითად დროში გუნდებმა თითო გოლი შეაგდეს. უფრო სწორად – პირველ ტაიმში. ჯერ ოლექსანდრ ზინჩენკომ გაიტანა, შემდეგ ემილ ფორსბერგმა.

მეორე ტაიმში შვედები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ. იშვიათი გამონათებები უკრაინას ჰქონდა, მაგრამ თამაში დამატებით დროში რომ გადავიდა, იღბალსაც უნდა უმადლოდნენ.

იქ კი, უკვე უკრაინას გაუმართლა, როდესაც მოედნიდან მარკუს დანიელსონი გააძევეს. უკრაინამ შედარებით ამოისუნთქა და ახლა უკვე თვითონ ჰქმნიდა ამინდს მოედანზე. თუმცა, ყველაფერი პენალტების სერიებამდე მიდიოდა. იქ არავინ იცის საფეხბურთო ლატარია ვის გაუმართლებდა. საქმე გამართლებამდე არ მივიდა – ზინჩენკოს პასით დოვბიკმა ზედ საფინალო სასტვენის წინ გაიტანა და უკრაინა მეოთხედფინალშია.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ოლექსანდრ ზინჩენკო**

მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გამორჩეული იყო მოედანზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ბევრს ვერაფერს ქმნიდა, თავად ცდილობდა ყველას მაგივრად ეთამაშა. საბოლოოდ, მისმა შრომამ შედეგი გამოიღო – გოლი და საგოლე პასი.

**ამრიგად, მეოთხედფინალში ითამაშებენ:**

**2 ივლისი**

**20:00 შვეიცარია-ესპანეთი**

**(სანკტ-პეტერბურგი)**

**23:00 ბელგია-იტალია**

**(მიუნხენი)**

**3 ივლისი**

**20:00 ჩეხეთი-დანია**

**(ბაქო)**

**23:00 უკრაინა-ინგლისი**

**(რომი)**

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

**29 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ევრო 2020**

გერმანია-ინგლისი ........................ 0:2
შვედეთი-უკრაინა ................... 1:2(დდ)

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

ევანსი-ლოპესი .................... 7:6,6:2,7:5
კოდრა-დე მინო ........... 6:3,6:4,6:7,7:6
ფონინი-ვინოლასი ............... 7:6,6:2,6:4
გრიკსპორი-ზვერევი .......... 3:6,4:6,1:6
შვარცმანი-პერი ................. 6:3,6:4,6:0
შტრუფი-მედვედევი .... 4:6,1:6,6:4,6:7
ლაიოვიჩი-სიმონი ... 6:4,7:5,3:6,4:6,6:3
კვონი-მაზური .............. 6:7,6:3,6:4,6:4
შაპოვალოვი-კოლშრაიბერი 6:4,4:6,6:3,5:7,6:4
გერასიმოვი-კლარკი .... 6:3,3:6,7:6,6:2
ჰარისი-ბერანკისი ............... 6:3,6:4,7:6
კუევასი-სიერე ............. 7:5,4:6,4:6,4:6
ერბერი-ანდუჰარი .....6:7,6:4,6:7,7:5,6:8
გასკე-სუგიტა .............. 7:6,4:6,6:2,6:1
სანდგრენი-გომბოსი .... 6:4,6:7,6:1,6:3
ჰურკაჩი-მუსეტი ................ 6:4,7:6,6:1
ჩჟანი-ოანი ............. 6:4,6:7,7:6,3:6,2:6
პოლმასი-ლუ ................ 6:2,7:5,4:6,6:1
კრაიოვიჩი-ბოლტი ............. 6:7,4:6,5:7
ოტე-რინდერკრეში ..... 4:6,6:3,6:2,6:7,13:12

**ქალები**

ვეკიჩი-პოტაპოვა ..................... 6:1,6:4
პლიშკოვა-ჟიდანჩეკი ............... 7:5,6:4
ჩჟუ-ბარტელი ..................... 6:7,6:3,6:3
ბუერნესკუ-ვ.უილიამსი ...... 5:7,6:4,3:6
საკარი-რუსი ........................... 6:1,6:1
ჟაბერი-პეტერსონი .................. 6:2,6:1
მარტინცოვა-რისკე ............ 6:2,4:6,6:1
როჯერსი-სტოსური ........... 6:1,5:7,6:3
ლი-პოდოროსკა ....................... 4:6,6:7
მერტენსი-დარტი ...................... 6:1,6:3
სამსონოვა-კანეპი ..................... 6:4,6:2
ბოუზკოვა-ზვონარევა ............. 5:7,4:6
დოი-ლიუ ......................... 6:2,3:6,7:9
ბრენგლი-მაკჰეილი ........... 3:6,7:5,10:8
ბარტი-სუარეს ნავარო ....... 6:1,6:7,6:1
კერბერი-სტოიანოვიჩი ............ 6:4,6:3
პეტკოვიჩი-პაოლინი ................ 6:4,6:3
გრაჩევა-მარტიჩი .............. 7:6,4:6,3:6
ბერტენსი-კოსტიუკი ................ 3:6,4:6
ჯონსი-გაუფი ........................... 5:7,4:6
ტაუსონი-კრეიჩიკოვა .............. 3:6,2:6
ბლინკოვა-ბაბოში ..................... 6:2,6:2
პეგულა-გარსია ........................ 6:3,6:1
ვესნინა-ტრევიზანი .................. 7:5,6:1

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# სამგლოვიარო განცხადებები

ლუტუნა, ეკა, ქეთი, ბესო, სოსო ნაყოფიები ოჯახებით გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ლუიზა ნაყოფიას ოჯახს მეუღლის, აფხაზეთის დამსახურებული ექიმის, ბატონი

**არნოლდ ნიკოლოზის ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: 4 ივლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში.



## გახსენება

ორმოცი დღე შესრულდა, რაც გარდაიცვალა ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის დამსახურებული თანამშრომელი

**ლეილა საათაშვილი**

იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საკორექტოროს განყოფილებას. იყო თავისი საქმის კარგი მცოდნე, პროფესიონალი, დინჯი და აუღელვებელი, თანამშრომლებთან ურთიერთობაში კორექტული. მისი წასვლა რედაქციისთვის დიდი დანაკლისია. ეპიდემიამ იმსხვერპლა. დატოვა შვილები და შვილიშვილები, რომლებიც ყოველთვის სიყვარულით მოიგონებენ მათზე მუდამ მზრუნველ დედას და ბებიას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

*რედაქციის თანამშრომლები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდგომ არსებული მყარი ნარჩენები; 2. ამჟავებული ღვინო; 3. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 6. გეოდეზიური ხელსაწყო; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ფიჭური კავშირგაბმულობის სისტემა საქართველოში; 12. ღვინის კასრების მკეთებელი ოსტატი; 14. სვან მამაკაცთა ცეკვა; 15. საფარიკაო სპორტული იარაღი; 16. ნადირთა მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 4. ალპინისტთა სპეციალური, წრიაპიანი ფეხსაცმელი; 7. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 11. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 12. შავყურძნოვანი ვაზის ქართული სუფრის ჯიში; 13. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. ესპანური ავიაკომპანია; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო სახეობა; 20. გეომეტრიული ფიგურა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყაბახი; 2. კირხე; 3. ფეიხოა; 4. ბალეტი; 6. სალიამი; 9. მერლო; 11. კატანია; 15. განდაგანა; 16. ჰაკერი; 17. მუკუზანი; 19. ინგლისი; 21. ბეზმენი; 22. დასინი.

**თარაზულად:** 5. ტალავარი; 7. ამსტელი; 8. ალუპკა; 10. კეტჩერი; 12. ტოკაი; 13. აგარა; 14. პილიგრიმი; 18. ომარი; 20. ვადუცი; 23. ბაიათი; 24. ზარა; 25. ვარანი; 26. ნანა; 27. ანანური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მახა; 2. რადიო; 3. გვარლი; 5. გოეთე; 6. ნორვეგია; 8. კონსილიუმი; 10. სტიმული; 12. პარკერი; 14. აპნისი; 15. გალიფე; 16. ბუღუი.

**თარაზულად:** 1. მუჯირი; 4. აგარანი; 7. მადერა; 9. ლაზები; 11. კნესეტი; 12. პრობაცია; 13. ამქარი; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1659

ევრო — 3.7639

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3876

100 რუსული რუბლი — 4.3274

## ამინდის პროგნოზი 1 ივლისისათვის




## რაბიოს დედამ პოგბას და მბაპეს მშობლები გალანძღა



საფრანგეთის ნაკრები შვეიცარიასთან დამარცხდა და ევროპის ჩემპიონატს გამოეთიშა. თამაშის შემდეგ ტრიბუნებზე საინტერესო ფაქტი მოხდა. რაბიოს დედა პოგბას და მბაპეს მშობლებთან მივიდა და ისინი კარგად გალანძღა.

რაბიოს დედის აზრით, მესამე გოლი საფრანგეთმა პოგბას მიერ დაშვებული შეცდომის გამო გაუშვა, მბაპემ კი პენალტის დროს კონცენტრაცია დაკარგა. არსებობს ვიდეოც, რომელშიც კარგად ჩანს, თუ როგორ ეჩხუბება რაბიოს დედა მბაპეს მამას, გარშემომყოფები კი მათ დამშვიდებას ცდილობენ.

## ბენიტესი ევერტონის მწვრთნელი გახდა

რაფაელ ბენიტესი ოფიციალურად ევერტონის მწვრთნელია და მან უკვე პირველი კომენტარიც გააკეთა ამის შესახებ.

ბენიტესის თქმით, ევერტონს პოტენციალი აქვს და მისთვის ამ გუნდის გაწვრთნა დიდი პატივია:

– მიხარია, რომ ევერტონის მწვრთნელი გავხდი და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ნდობა გავამართლო. მინდა, რომ ევერტონის გულშემატკივარი გახარებული იყოს და ჩვენი გუნდით ამაყობდეს.

## მესი ოფიციალურად თავისუფალი აგენტია



ბარსელონას კაპიტანი ლიონელ მესი ოფიციალურად თავისუფალი აგენტია და ჯერჯერობით მას ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია. ამჟამად მესი არგენტინის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკაზე იმყოფება და მას ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა კომენტარი გააკეთა ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ, რომლის თქმითაც, მესი ახალ კონტრაქტს აუცილებლად გააფორმებს ბარსელონასთან.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ცოლი და ქმარი ლოგინში წვანან. ამ დროს კედლის მეორე მხრიდან ქალის კვნესის ხმა ისმის. ცოლი ქმარს ღიმილით ეუბნება:

– ჩვენი მეზობელი ცოლს წვავს!

– იმედია ზეთში, – გაეპასუხა ქმარი, – თორემ ისეთი ხმები გამოდის, რომ იწვავს.

●●●

რესტორანში ქალი მამაკაცს ეუბნება:

– მინდა ისეთი რამ მითხრა, რომ გული ამიჩქროლდეს...

– რესტორანში შენი ქმარი შემოვიდა...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს!

– მობოდიშება გადაწყვიტე?

– არა, ახალი მოვიფიქრე!

●●●

ქალი სექსის შემდეგ მამაკაცს ეკითხება:

– გივი, შენ შემთხვევით ანესთეზიოლოგი ხომ არ ხარ?

– როგორ გამოიცანი?

– ვერაფერი ვიგრძენი!

●●●

ცოლი ქმარს ეჩხუბება და ეუბნება:

– როდემდე უნდა დაწანწალებდე ქალებში, უკვე სამი შვილი გვყავს და შენი არც ერთი არ არის!

●●●

მამაკაცი მაღაზიაში გამყიდველ ქალს ეკითხება:

– ტრუსიკები გაქვთ?

– არა.

– და გაყიდვაში?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ოთო ნემსაძე საინფორმაციოებს აკრიტიკებს



მომღერალი ოთო ნემსაძე ტელევიზიებს და ინტერნეტ საინფორმაციოებს აკრიტიკებს:

– ბოლოს დასასტრესი ინფორმაცია რომ აღარ აქვთ ტელევიზიებსა და ინტერნეტ საინფორმაციოებს, სხვა ქვეყანაში გადადიან და იქ, სადმე სოფელში რომ კაცი არხში დაიხრჩო, იმას გვიყვებიან.

ბიჭო! ცუდია ძალიან, მაგრამ ამ ჩვენს ფსიქიკას რას უშვებით?

მერე იტყვიან, ამან იძალადა – იმან მოკლა და....

ეს დედა აფეთქებული, დაანებეთ ამ 3 მილიონი კაცის გაფსიხებას თავი! ფუ!

პ.ს. რამე კარგი ხდება?

## საბა საფარელი: „სიყვარული გადამრჩენელია“



ქუჩის მუსიკოსი საბა საფარელი ამტკიცებს, რომ სიყვარული მთავარი ძალაა და ადამიანების გადამრჩენელია:

– სამყარო ბოროტი არ არის და არც კეთილია, მისთვის სულ ერთია, არსებობ თუ არა შენ.

ცხოვრება სამოთხე არასოდეს იქნება.

დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სიცოცხლე ძვირფასი ნიჭია, ღვთის საჩუქარია და ვცდილობ მოვასწრო სიკეთე, სითბო და სიყვარული.

ჩემი სიკეთე ბევრმა ვერ აღიქვა და ვერ მიიღო, მაგრამ მე შევძელი დავრჩენილიყავი სიკეთის ერთგული და ბედნიერი სულ ვარ მრავალგზის გულნატკენი. არ ღირს გაბრაზება, არ ღირს წყენით ცხოვრება.

უნდა შეეგუო, რომ ყველას ვერ ეყვარები.

ძალიან ცოტას ვცხოვრობთ. გულწრფელი ღიმილი მუდამ შესაძლებელია. სიკეთით ცხოვრებას არასდროს გასდის ვადა.

სიყვარული გადამრჩენელია. ცხოვრება მაინც საამურია იმ ადამიანებით, ნამდვილი სიყვარულით რომ უყვარხარ.

## ლაშა გაბუნიას გამოჯანმრთელებისთვის 25.000 დოლარი სჭირდება



„კომედი ჯგუფის“ მსახიობს ლაშა გაბუნიას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და 25.000 დოლარი სჭირდება.

რამდენიმე წლის წინ საბედისწერო დღე დადგა ლაშა გაბუნიასთვის. ავარიის შედეგად ლაშამ ხერხემალი დაიზიანა, იმ მომენტში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ დაავადებამ წლების შემდეგ იჩინა თავი.

ლაშას ხერხემალზე რამდენიმე თიაქარი ჰქონდა, რომელიც ძლიერ ტკივილებს იწვევდა. პირველ რიგში, კისრის მალის ოპერაცია ჩატარდა საქართველოში, ოპერაცია წარმატებით დასრულდა, თუმცა აუცილებელი გახდა მე-4 და მე-5 მალაზე ქირურგიული ჩარევა.

კომპანია მედიცენტრის დახმარებით ლაშა მოხვდა თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც პროფესიონალი ექიმების ჩარევით გაუკეთდა ოპერაცია.

– მიუხედავად ექიმების დიდი მონდომებისა და მცდელობისა, დღეს ქირურგიული ჩარევა საჭიროა მე-7 და მე-8 მალაზეც, სამწუხაროდ, პრობლემა ვერ გადაიჭრა და საბოლოო გამოჯანმრთელებამდე სულ ცოტაა დარჩენილი.

გამარჯვება დღეს ლაშასთვის 25 000 დოლარი ღირს – ოპერაცია და რეაბილიტაცია.

დღეს ლაშას ყველაზე მეტად ვჭირდებით – ყველა ნაცნობი და უცხო ადამიანი უნდა გავერთიანდეთ და ლაშას გამარჯვება ერთად ვიზეიმოთ, – ამბობენ ლაშას მეგობრები და საზოგადოებას მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას სთხოვენ.

## სახლის კედლიდან ჩამოვარდნილი სურათი რემბრანდტის დაკარგული ნახატი აღმოჩნდა



რემბრანდტის დაკარგულ ნახატს მას შემდეგ მიაგნეს, როდესაც იტალიაში კერძო სახლის კედლიდან ჩამოვარდნის შემდეგ ის რესტავრაციაზე გადააგზავნეს.

იტალიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდში განაცხადეს, რომ სურათი „მაგების თაყვანისცემა“ ცნობილმა მხატვარმა რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინმა დაახლოებით 1632-33 წლებში დახატა.

ის მხატვარის ერთ-ერთ დაკარგულ ნამუშევრად მანამდე ითვლებოდა, სანამ 2016 წელს რომის პროვინციაში, ქალაქგარეთ, კერძო სახლში კედლიდან არ ჩამოვარდა და რის შემდეგაც ის რესტავრატორ ანტონელი დი ფრანჩესკოს გადაუგზავნეს.

რესტავრატორის თქმით, ნახატი ძველი ლაქით იყო ჩამუქებული, მაგრამ გაწმენდის და რესტავრირების დროს ნათელი გახდა, რომ ის „მაგების თაყვანისცემა“ იყო.

ნახატი ექსპერტების საერთაშორისო ჯგუფმა რომში მედიჩების ვილაში საფრანგეთის ხელოვნების სიმპოზიუმზე შეისწავლა. მათ დაადასტურეს, რომ ის დიდი ხნის წინ დაკარგული რემბრანდტის ნამუშევარი იყო.

იტალიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის პრეზიდენტმა გიდო ტალარიკომ განაცხადა, რომ ამ დროისთვის რემბრანდტის ნახატი ხელოვნების ნაწარმოებებით მოვაჭრეებთან ინახება, მაგრამ ოჯახი მის გაყიდვას არ აპირებს. მისი მუზეუმებსა და გალერეებში გამოფენა იგეგმება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური გათხრები დასრულდა



აჭარაში, გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური გათხრები დასრულდა. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში მიმდინარეობდა მონუმენტური ნაგებობისა და მასთან არსებული აბანოს ნაშთების შესწავლა. აქ, წინა წლების მსგავსად, წელსაც დაფიქსირდა იატაკის მოზაიკა.

ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში დადასტურდა რომაული პერიოდის სხვადასხვა ტიპის ბაზებიანი ნაგებობების ნაშთები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში რომაული, ბიზანტიური და ოსმალური პერიოდის კულტურული ფენები.

გათხრების შედეგად გამოვლენილია საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიური მასალაც: ამფორები, ლუთერიები, წითელლაკიანი კერამიკა, დამღიანი კრამიტები, მინისა და ლითონის ნაკეთობანი, მონეტები და სხვა.

არქეოლოგიური ექსპედიცია აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 1 ივლისისათვის



**ვერძი** – მრავალი პრობლემა დაგიგროვდათ. მათ დროულად მოგვარებას ნუ დააყოვნებთ. დაწყებული საქმე უთუოდ დღესვე დაამთავრეთ. **კურო** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **ტყუპები** – პოზიტიური დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დღეს დადებით შედეგს გამოიღებს. **ლომი** – შემოქმედებით სფეროში იაქტიურეთ. ახალი მოკავშირეები სულიერი ჰარმონიის შექმნაში დაგეხმარებიან. **ქალწული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **სასწორი** – თავს ბედნიერად და ლაღად გრძნობთ. ყოველი წვრილმანი სიხარულს განიჭებთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად გაქვთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სპონტანურად ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით. **თხის რქა** – სულიერი და ფიზიკური ძალები გემატებათ. სახლში დიდხანს ნუ დარჩებით. **მერწყული** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. საქმიან სფეროში ახალი შესაძლებლობები გამოგიჩნდებათ. **თევზები** – შანსი გეძლევათ, ხელსაყრელი გარიგება გააფორმოთ. ოპტიმიზმი და მელანქოლია ერთმანეთს ენაცვლება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 11. ხავერდის მსგავსი, ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილები; 21. ტანსაცმლის, თეთრეულის მოსართავად გამოყენებული, ორნამენტებიანი თხელი, ბადურა ქსოვილი; 22. მოხრილპირიანი დანა.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 10. სომხური ანბანის შემქმნელი; 12. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. მამათა მონასტერი; 20. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 23. ფიგურული სახაზავი; 24. ეგრისის მთავარი; 25. პოპულარული ზამთრის კურორტი შვეიცარიაში; 26. რკინის მადნიდან გამოდნობილი, ნახშირბადის შემცველი მყიფე ლითონი; 27. სახელმწიფო აზიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

